ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2017-2018 წლის საქმიანობის ანგარიში

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყველაზე დიდი და მრავალდარგოვანი რეგიონული საჯარო უნივერსიტეტია საქართველოში. უნივერსიტეტის განვითარების მიმდინარე ეტაპისათვის დამახასიათებელია სწავლების ხარისხობრივ მახასიათებლებზე კონცენტრირება და ხარისხის უზრუნველყოფის მდგრადი მექანიზმების განვითარება.

ხარისხის კულტურის განვითარება აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პრიორიტეტია. სამსახური ითვალისწინებს საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის მართვის საერთაშორისო პრაქტიკას (IQM-ის სახელმძღვანელო „ხარისხის შიდა მართვა კომპეტენციებზე დაფუძნებულ განათლებაში“), ეყრდნობა საქართველოში მოქმედ ნორმატიულ და მარეგულირებელ მოთხოვნებს, აგრეთვე უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს (ESG).

უნივერსიტეტში განათლების ხარისხის უზრუნველყოფა ყოველდღიური საქმიანობა და უნივერსიტეტში მოღვაწე ყველა პირის პასუხისმგებლობაა.

მნიშვნელოვანია, რომ აწსუ-ს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაში ეფექტურად იყოს ჩართული ყველა რგოლი.

წარმატებები მხოლოდ ერთობლივი მუშაობითა და ძალისხმევით მიიღწევა.

აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობა ეფუძნება ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესის განვითარებას თითოეული ფაკულტეტის თავისებურებების გათვალისწინებითა და მისი ავტონომიურობის დაცვით, რომელიც გულისხმობს დამოუკიდებლობას შეთანხმებულ ფარგლებში.

მუდმივი სრულყოფისა და თვითგანვითარებისათვის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ცდილობს, ეფექტიანად გამოიყენოს ინსტიტუციური ავტონომია და აკადემიური თავისუფლება, რათა სათანადო დონეზე უზრუნველყოს საუნივერსიტეტო ხარისხის სისტემის დანერგვა და უწყვეტი განვითარება. ამ მიზნებისათვის აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ოპერირებს შიდა და გარე შეფასების ინსტრუმენტებით და ფართოდ იყენებს ციკლურ პროცესს, რომელიც მოიცავს ოთხ ძირითად ურთიერთდაკავშირებულ ელემენტს: დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და გაუმჯობესება (PDCA ციკლი).

2017 წლის მაისში აწსუ-მ მონაწილეობა მიიღო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რომელიც ითვალისწინებდა უნივერსიტეტების შერჩევას ავტორიზაციის განახლებული სტანდარტებისა და პროცედურების პილოტირების პროცესისათვის.

ავტორიზაციის განახლებული სტანდარტებისა და პროცედურების პილოტირების პროცესისათვის შეირჩა სამი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი.

აღნიშნული პილოტირების პროცესში ჩართული იყვნენ ავტორიზაციის ექსპერტები აწსუ-დან, რომლებმაც შესაბამისი გამოცდილება გაუზიარეს აწსუ-ს ადმინისტრაციას. შედეგად მიღებული გამოცდილება დაეხმარა აწსუ-ს ჩამოეყალიბებინა მიმდინარე პროცესის შესაბამისი შედეგზე ორიენტირებული ხედვა და დაეწყო ნაყოფიერი მუშაობა თვითშეფასების ანგარიშის მოსამზადებლად.

სარჩევი

აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შესახებ 1
1. უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციისთვის მზადება 3
სტანდარტი 1. აწსუ-ს მისია და სტრტეგიული განვითარება 5
სტანდარტი 2. აწსუ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა 11
სტანდარტი 3. საგანმანათლებლო პროგრამები 17
სტანდარტი 4. აწსუ-ს პერსონალი 24
სტანდარტი 5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები 24
სტანდარტი 6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა 25
სტანდარტი 7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები 26
2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განვითარება 30
საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება 30
აკადემიური მოსწრება 46
სტუდენტთა მობილობისა და აკადემიური სტრუქტურის აღდგენის პროცესის წარმართვა 49
ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორო მუშაობის შეფასების პოლიტიკა 51
სამეცნიერო -კვლევითი საქმიანობა 53
აკადემიური პერსონალის მეთოდური შრომების მონიტორინგი 54
3. ტუტორების ინსტიტუტი 56
სტუდენტთა გამოკითხვები 57
კურსდამთავრებულთა გამოკითხვები 64
4. პროფესიული პროგრამების განვითარება 68
დამსაქმებლებთან თანამშრომლობა 70
5. საჯაროობა და ინფორმაციის დისემინაცია 72
6. ინტერნაციონალიზაცია 76
7. საერთაშორისო კონფერენციები, სემინარები, ტრენინგები 80
სხვა ღონისძიებები 84

1. უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციისათვის მზადება

2017 წელი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის წარმოადგენდა მნიშვნელოვანი ცვლილებების წელს, რადგან ინსტიტუციური ავტორიზაციის განახლებული სტანდარტები ახალ, შედეგზე ორიენტირებულ მოთხოვნებს უყენებს საუნივერსიტეტო მმართველობას. დღევანდელი მოთხოვნების შესაბამისად, ძალზედ მნიშვნელოვანია მკაფიოდ ჩანდეს რას და როგორ აკეთებს უნივერსიტეტი, როგორ განიცდის პროგრესს და რას აკეთებს ავტორიზაციის ახალი სტანდარტებით გათვალისწინებული მოთხოვნების დანერგვისათვის.

ავტორიზაციის განახლებული სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, აწსუ-ს ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება უნდა ეფუძნებოდეს უნივერსიტეტის მიერ საკუთარი საქმიანობის სიღრმისეულ ანალიზსა და კრიტიკულ ხედვას, ასევე, საქმიანობის გაუმჯობესების გზებსა და საშუალებებს.

აწსუ-ს შესაბამისობა სტანდარტის თითოეული კომპონენტის მოთხოვნასთან უნდა იყოს სათანადოდ არგუმენტირებული და ეფუძნებოდეს რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემებს. თითოეული სტანდარტისა და კომპონენტის აღწერა ეფუძნება შეფასების PDCA (დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-განავითარე) მოდელს.

აღნიშნული სამუშაოები საჭიროებს რელევანტური მონაცემების თავმოყრას, რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების ანალიზს, შესაბამისი ხედვის ჩამოყალიბებას შემდგომი განვითარების ღონისძიებების დასაბუთებისათვის.

აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ავტორიზაციის ახალი სტანდარტებისა და ქვე-სტანდარტების შესაბამისად, ჩაატარა GAP-ანალიზი, რის საფუძველზეც მოხდა პრობლემების იდენტიფიცირება, კერძოდ, რა სახის და მოცულობის სამუშაო იყო ჩასატარებელი თითოეული სტრუქტურული დანაყოფის/სამსახურის მიერ, რა სახის პოლიტიკა თუ მეთოდოლოგია იყო შესამუშავებელი, როგორ განისაზღვროს პასუხისმგებლობა და სხვა.

ამრიგად, შესრულებელია შემდეგი სამუშაოები:

- აწსუ-ს ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება-ანალიზი;
- თითოეული სტანდარტის შესრულებისათვის პასუხისმგებელი სამსახურებისა და პირების განსაზღვრა;
- რეკომენდაციების შემუშავება თითოეული სტანდარტის უზრუნველყოფისათვის და შესაბამისი სამუშაოების ჩატარება აწსუ-ს ხუს-ის აქტიური ჩართულობით.

სამუშაოები მოიცავდა პოლიტიკების, პროცედურების, კონცეფციების, ნორმატიული დოკუმენტების სტანდარტებთან თავსებადობაში მოყვანას და არსებული დებულებების გადახედვას. ეს სამუშაოები შესრულდა კომპლექსური აქტივობების დახმარებით, რომლებიც დაწვრილებითაა აღწერილი წინამდებარე ანგარიშში.

GAP-ანალიზის შედეგად გამოვლენილი სამუშაოების აღწერა

სტანდარტი 1. აწსუ-ს მისია და სტრატეგიული განვითარება

GAP-ანალიზის შედეგად აღნიშნულ სტანდარტთან მიმართებით გამოიკვეთა შემდეგი სამუშაოების საჭიროება:

<u>1.2 სტრატეგიული განვითარება</u>

- აწსუ-ს მიზნებისა და საქმიანობის პრიორიტეტების თანხვედრა, ამ მიზნების დროში გაწერა და მათი განხორციელების გაზომვადი შედეგების გამოყენება;

- სტრატეგიული განვითარების გეგმისა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმის (სამწლიანი) გაუმჯობესება PDCA ციკლის გამოყენებით.
- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის განსაზღვრა, რომლითაც უნივერსიტეტი იხელმძღვანელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებისას;
- სტრატეგიული დაგეგმარების თანამონაწილეობითი პროცესის უზრუნველყოფა და მასში აწსუ-ს პერსონალის, სტუდენტების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართვა;
- სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში აწსუ-ს ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ყველა ასპექტის ასახვა, როგორიცაა ინსტიტუციური განვითარება, ხარისხის უზრუნველყოფა, საგანმანათლებლო პროგრამების დაგემვა და განხორციელება, სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა, კვლევები/სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობა, ადამიანური და მატერიალური რესურსები, სტუდენტური სერვისები, ინფრასტრუქტურა და სხვა;
- ფაკულტეტების სტრატეგიული განვითარების გეგმების შემუშავება;
- აწსუ-ს სოციალური პასუხისმგებლობის განაცხადის ფორმირება კულტურული, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სხვა პროგრამებისა და ღონისძიებების ასახვით, მათ შორის აწსუ-ს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მონაწილეობა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი თემების განხილვაში, საექსპერტო და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა, კვლევების ჩატარება სხვადასხვა ინსტიტუციისთვის და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშემწყობი ღონისძიებები.
- სამოქმედო გეგმის შედგენა განსახორციელებელი აქტივობების განსაზღვრით, შესასრულებლად საჭირო რესურსებით (მატერიალური, ფინანსური და ადამიანური), შესრულების კრიტერიუმებითა და განხორციელების ვადებით.
- აწსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის, შეფასებისა და სათანადო რეაგირების შიდა რეგულაციებისა და პროცედურების განსაზღვრა.

➢ სტანდარტი 1-ის შესაბამისი შესრულებული სამუშაოების აღწერა

2017 წლის თებერვლიდან, შესაბამისი პროექტის ფარგლებში, აწსუ-მ დაიწყო ნაყოფიერი თანამშრომლობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან „კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის“-ctc და არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანი გაჭირვებაში“-PIN. პროექტის ფარგლებში აწსუ-მ მოიწვია გარე ექსპერტები, რომლებმაც აწსუ-ს გაუწიეს კონსულტაციები სტრატეგიული განვითარების, ორგანიზაციული სტრუქტურის და მართვის გაუმჯობესების საკითხებზე: ლიკა ღლონტი - ინტერნაციონალიზაციის საკითხებზე, თამარ ბრეგვაძე - სამეცნიერო კვლევა და პლაგიატის შესახებ, ირინა ხანთაძე - ადმინისტრირების მხრივ, ბესიკ სულაბერიძე, დავით ყიფიანი - სტრატეგიული დაგეგმარების საკითხებზე. შესაბამისი კონსულტირებით, სხვადასხვა საინფორმაციო შეხვედრების, განხილვებისა და ფოკუს-ჯგუფებთან მუშაობის გზით მოხდა აწსუ-ს არსებული სტრატეგიის რევიუირება და განხილვა ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში, შემუშავდა აწსუ-ს განახლებული სტრატეგია, სამოქმედო გეგმა და მონიტორინგის გეგმა. ამ მიზნით ჩატარდა 14 შეხვედრა, ხოლო სამუსაო პროცესში ჩართული იყო 120-მდე დაინტერესებული პირი.

შემუშავებული დოკუმენტების პირველი წარდგენა და ფართო განხილვა ჩატარდა 2017 წლის 20-21 ივლისს ქალაქ წყალტუბოში. შეხვედრას ესწრებოდნენ აწსუ სამსახურებისა და ფაკულტეტების 47 წარმომადგენელი.

- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა.

- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2017-2024 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- აწსუ-ს ხარისხის სისტემა-ხარისხის პოლიტიკა და პროცედურები;
- აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველყოფის კოდექსი;
- აწსუ-ს სტრატეგიული გეგმის საკვანძო ინდიკატორების მონიტორინგის გეგმა (2018-2024);
- აწსუ-ს 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა.

განხილვის შედეგად, შენიშვნებისა და კომენტარების გათვალისწინებით ჩამოყალიბდა ორი დოკუმენტის: აწსუ-ს სტრატეგიული გეგმის საკვანძო ინდიკატორების 2018-2024 წლების მონიტორინგის გეგმისა და 2018-2020 სამოქმედო გეგმის მოდერნიზებული სამუშაო ვარიანტი.

სამუშაო შეხვედრის მონაწილეებმა წარმოადგენეს კომენტარები აღნიშნულ დოკუმენტებზე, დაიგეგმა ფაკულტეტების საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროფილების დოკუმენტის შექმნა, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის, მათ შორის პერსონალის სამუშაო აღწერილობის დოკუმენტის მომზადება, უნივერსიტეტის სოციალური პოლიტიკის განაცხადის ფორმირება.



2017 წლის 20-21 ივლისს, აწსუ ადმინისტრაციამ, ფაკულტეტების დეკანებმა, ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსებმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა განიხილეს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა, სტრატეგიული განვითარების გეგმის საკვანძო ინდიკატორების მონიტორინგის გეგმა, სამოქმედო გეგმა და ხარისხის პოლიტიკისა და პროცედურების სახელმძღვანელო. შეხვედრა წარიმართა CTC ექსპერტების მონაწილეობით და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია PIN-ის ფინანსური მხარდაჭერით.

ამრიგად, აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უშუალო ხელმძღვანელობითა და ჩართულობით შემუშავდა უნივერსიტეტის განახლებული სტრატეგია, სამოქმედო გეგმა და მონიტორინგის გეგმა თანამონაწილეობითი პროცესის გზითა და შეფასების PDCA (დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-განავითარე) მოდელის გამოყენებით.

2017 წლის 12 ოქტომბრიდან მუშაობა დაიწყო აწსუ-ს ავტორიზაციის თვითშეფასების მოსამზადებელმა ჯგუფმა შემდეგი შემადგენლობით: გიორგი ღავთაძე, ირმა გრძელიძე, თეა ვალიშვილი, დავით გეგეჭკორი, იმერი ბასილაძე, ნატო წულეისკირი, მირანდა კავაძე, მინდია ბერეკაშვილი, ნესტანი კუტივაძე, კახა კუპატაძე, გიორგი ჭიჭინაძე, ოთარ შენგელია.



➢ სტანდარტი 1-ის შესაბამისი სამუშაოების დადასტურებები

- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2017-2024 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- აწსუ-ს სტრატეგიული გეგმის საკვანძო ინდიკატორების მონიტორინგის გეგმა (2018-2024);
- აწსუ-ს 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა;
- ფაკულტეტების სტრატეგიული განვითარების გეგმები;
- სამუშაო შეხვედრების ოქმები;
- სამუშაო შეხვედრების ამსახველი ფოტომასალა.

სტანდარტი 2. აწსუ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა



აღნიშნულ სტანდარტთან მიმართებით GAP-ანალიზის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი სამუშაოების საჭიროება:

<u>2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა</u>

- აწსუ-ს სტრუქტურის გაუმჯობესება;
- აწსუ-ს სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებისა და პასუხისმგებლობის ნათლად ჩამოყალიბება და გამიჯვნა, სტრუქტურული ერთეულები ეფექტურად და კოორდინირებულად ახორციელებენ თავიანთ ფუნქციებს.
- ფაკულტეტების საგანმანათლებლო პროფილის ფორმირება;

- საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესის ეფექტურობის შეფასება.
- სტუდენტებისა და პერსონალის გამოკითხვა;

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების სისტემის შექმნა, რომელიც იყენებს სათანადო მეთოდებსა და ინსტრუმენტებს სანდო და საჭირო ინფორმაციის გენერირებისათვის;
- შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურის შემუშავება;
- სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმის, მეთოდოლოგიისა და სამიზნე ნიშნულების ჩამოყალიბება;

2.3 ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის რეგულაციებისა და მექანიზმების სისტემატიზება.
- პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმების ჩამოყალიბება.

➢ სტანდარტი 2-ის შესაბამისი შესრულებული სამუშაოების აღწერა

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივით გაიმართა შეხვედრა აწსუ-ს სტრუქტურული და საგანმანათლებლო ერთეულების ხელმძღვანელებთან სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებისა და პასუხისმგებლობის, მათი ეფექტური და კოორდინირებული მუშაობის საკითხებზე.

2017 წლის 25 აგვისტოს სამუშაო შეხვედრაზე ფაკულტეტის დეკანებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები შემუშავებული დოკუმენტებზე „ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროფილი, ხედვა და SWOT-ანალიზი“. პრეზენტაციები წარადგინეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, საინჟინრო-ტექნოლოგიური, საინჟინრო-ტექნიკური, პედაგოგიური, აგრარული და მედიცინის ფაკულტეტებმა. გაიმართა წარმოდგენილი პოლიტიკის დოკუმენტების განხილვა, გაიცა რეკომენდაციები დოკუმენტების გაუმჯობესებისათვის. ხუს-ის მიერ გაიცა შემდეგი რეკომენდაციები: ფაკულტეტებმა სწორად ასახონ არსებული მდგომარეობა, ნათლად აღწერონ და დასახონ განვითარების მიზნები და გადაამუშაონ წარმოდგენილი დოკუმენტები შეხვედრაზე გაცემული რეკომენდაციებისა და შენიშვნების შესაბამისად.

2017 წლის 6 სექტემბრიდან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა დაიწყო ინდივიდუალური კონსულტაციები აწსუ-ს სამსახურებთან. ინდივიდუალური კონსულტაციები მიმდინარეობდა აწსუ-ს რექტორისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის უშუალო ჩართულობით.

შეხვედრებზე სამსახურების წარმომადგენლები გაეცნენ ავტორიზაციის სტანდარტებს, ავტორიზაციისათვის წარსადგენი თვითშეფასების ფორმას, SWOT-ანალიზის, PDCA ციკლის, სამოქმედო გეგმის და თანამდებობრივი აღწერების ინსტრუქციებს.

შეხვედრები გაიმართა შემდეგი თანმიმდევრობით:

06.09.2017 - მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახური; ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახური.

07.09.2017 - საგარეო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების სამსახური; ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახური; ადამიანური რესურსების მართვის სამსახური.

08.09.2017 - სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სერვისები; სასწავლო პროცესის მართვის სამსახური.

11.09.2017 - ბიბლიოთეკა; უწყვეტი განათლების ცენტრი; კანცელარია; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

აღნიშნულ შეხვედრებზე სამსახურებს დაევალათ წარმოედგინათ პრეზენტაციები SWOT-ანალიზისა და სამოქმედო გეგმის შესახებ, ასევე თანამდებობრივი აღწერები.

პრეზენტაციების წარდგენა დაიწყო 2017 წლის 15 სექტემბრიდან. პირველ შეხვედრაზე პრეზენტაციები წარადგინეს შემდეგმა სამსახურებმა: ხარისხის უზრუნვლყოფის სამსახური; საგარეო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების სამსახური; ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახური; მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახური; ადამიანური რესურსების მართვის სამსახური; სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, „მოამბე“.

2017 წლის 18 სექტემბერს გაიმართა მომდევნო შეხვედრა, პრეზენტაციები წარადგინეს შემდეგმა სამსახურებმა: აწსუ „გამომცემლობა“; ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახური; კანცელარია; სტუდენტური მხარდაჭერისა და განვითარების სერვისები; ბიბლიოთეკა.

შეხვედრაზე განხილულ იქნა წარმოდგენილი პრეზენტაციები აწსუ რექტორისა და სხვა დამსწრე პირების მიერ და გაცემულ იქნა შესაბამისი რეკომენდაციები.

2017 წლის 11 ოქტომბრიდან დაიწყო ინდივიდუალური შეხვედრები აწსუ სამსახურებთან, სადაც თითოელმა მათგანმა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და რექტორთან ერთად განსაზღვრა იმ სამუშაოთა ჩამონათვალი (განსახორციელებლი პროცედურები/შესამუშავებელი დოკუმენტები), რომელთა შესრულება დაევალათ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში.

შეხვედრები გაიმართა შემდეგი თანმიმდევრობით:

11.10.2017 - სასწავლო პროცესის მართვის სამსახური;

12.10.2017 - მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახური;

16.10.2017 - ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახური;

17.10.2017 – „მოამბე“;

19.10.2017 - სტუდენტთა მხარდაჭერის და განვითარების სერვისები;
კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრი;
საგარეო ურთიერთობებისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური.

20.10.2017 - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი.

18.10.2017 გაიმართა შეხვედრა აწსუ ფაკულტეტების დეკანებთან, რექტორის მოადგილესთან, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან, კანცელარიასთან და ფაკულტეტების დეკანების მდივნებთან. შეხვედრაზე განისაზღვრა იმ პროცედურების ჩამონათვალი, რომელიც საჭიროა უნივერსიტეტის როგორც საერთო, ისე საფაკულტეტო საქმის წარმოების წესის შესამუშავებლად.

ამრიგად, აღწერილი სამუშაოების შედეგად მოხდა აწსუ-ს სტრუქტურის გაუმჯობესება; აწსუ-ს სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებისა და პასუხისმგებლობის ნათლად ჩამოყალიბება და გამიჯვნა; ფაკულტეტების საგანმანათლებლო პროფილის ფორმირება; ჩატარდა სტუდენტებისა და პერსონალის გამოკითხვა.

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

2017 წელს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია, რომელიც წარმოადგენს ხარისხის

უზრუნველყოფის სისტემის მიზნებს და ხარისხის მართვის ძირითადი პოლიტიკების დეკლარირებას.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის სისტემა შედგება სხვადასხვაგვარი პოლიტიკისაგან, პროცედურებისა და ინსტრუქციებისგან/წესებისგან/გზამკვლევებისგან, რომლებზე დაყრდნობითაც წარიმართება უნივერსიტეტის საქმიანობა.

წარმოდგენილი მიდგომები აყალიბებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს სათანადო მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით სანდო და საჭირო ინფორმაციის გენერირებას, შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურისა და პრაქტიკის განვითარებას.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება სამ ძირითად პოლიტიკას და მოიცავს ექვს ძირითად პროცედურას.

პოლიტიკა	პროცედურა
1. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა- EP-QA	EP-QA 1.1 საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა;
	EP-QA 1.2 საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა;
	EP-QA 1.3 მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურა.
2. კვლევის განვითარების პოლიტიკა - RE-QA	RE-QA 2.1 კვლევის ხარისხის შეფასების პროცედურა
3. მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების პოლიტიკა - ME-QA	ME-QA 3.1 თვითშეფასებისა და ანგარიშგების პროცედურა
	ME-QA 3.2 მართვის ეფექტიანობის შეფასების პროცედურა.

ხუს-ის მიზანია წარმოდგენილი სისტემის გამოყენებით მუდმივად გააუმჯობესოს და განავითაროს პროცესები და პროცედურები, პერიოდულად მიმოიხილოს ხარისხის სისტემის ეფექტიანობა და უზრუნველყოფს ხარისხის კულტურის მდგრად განვითარება თანამშრომელთა და ყველა დაინტერესებული მხარის მაღალი ჩართულობით.

2.3 ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

➢ სტანდარტი 2-ის შესაბამისი სამუშაოების დადასტურებები

- აწსუ-ს განახლებული სტრუქტურა;
- აწსუ-ს სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებისა და პასუხისმგებლობის განახლებული დოკუმენტები
- ფაკულტეტების საგანმანათლებლო პროფილები
- სტუდენტებისა და პერსონალის გამოკითხვები
- აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია
- აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა (პოლიტიკები)
- ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპები
- სამუშაო შეხვედრების ოქმები;
- სამუშაო შეხვედრების ამსახველი ფოტომასალა.

სტანდარტი 3. საგანმანათლებლო პროგრამები

აღნიშნულ სტანდარტთან მიმართებით GAP-ანალიზის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი სამუშაოების საჭიროება:

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკის და მეთოდოლოგიის შემუშავება.

3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის რევიზირება;
- სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესის შემუშავება;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და მისი შემუშავების მეთოდოლოგიის ჩამოყალიბება.

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

- პროგრამების დახვეწა სწავლის შედეგების შეფასების გაუმჯობესების მიზნით.

➢ სტანდარტი 3-ის შესაბამისი შესრულებული სამუშაოების აღწერა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების მიზანია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა და სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა.

მესამე სტანდარტია საგანმანათლებლო პროგრამები, რომლის ძირითადი მოთხოვნები ასეა ჩამოყალიბებული: „უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის

ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას“.

აღნიშნული სტანდარტის მოთხოვნების დაკმაყოფილება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უპირველესი ვალდებულებაა, ამიტომ ხუს-ის მუშაობა მიმართული იყო ამ სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისობის უზრუნველყოფაზე.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება

- **საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკის და მეთოდოლოგიის შემუშავება.**

2017 წელს ხუს-მა დიდი სამუშაოები ჩაატარა საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შემუშავებისათვის. შედეგად ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციის ერთ-ერთ მთავარ პოლიტიკად განისაზღვრა ე.წ. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა-EP-QA, რომელიც აწსუ-ში ხორციელდება სამი პროცედურის საშუალებით.

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა-EP-QA



საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ეფუძნება საგანმანათლებლო საქმიანობით საუნივერსიტეტო საზოგადოების ინტერესების დაკმაყოფილებას, საკვანძო გარე ფაქტორების გათვალისწინებას, საგანმანათლებლო პროგრამების გარე მოთხოვნებთან სრული თავსებადობის უზრუნველყოფას. იგი მიმართულია სწავლა-სწავლებისა და კვლევის პროცესების ინტეგრაციისა და ინტერნაციონალიზაციისაკენ.

საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა (EP-QA 1.1) ემსახურება ახალი აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, შემუშავებისა და დამტკიცების განხორციელების გზების, ძირითადი მოთხოვნებისა და პროცედურის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრას.

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა (EP-QA 1.2) აღწერს მოქმედი აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისათვის აუცილებელ აქტივობებს/ღონისძიებებს, ასევე შეფასებისათვის გამოყენებულ სხვადასხვა ინდიკატორსა და კრიტერიუმებს. პროცედურის განხორციელებით მიღებული შეფასება გამოიყენება მოქმედი პროგრამების განახლებისა და განვითარებისათვის, ასევე მუდმივად ცვალებად გარემოსთან მათი შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურა (EP-QA 1.3) განსაზღვრავს მოქმედი აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისათვის აუცილებელ ღონისძიებებს, მათი განხორციელების გზებსა და პასუხისმგებელ პირებს, პროგრამაში ცვლილების შეტანისა და ამ ცვლილებების დამტკიცების სამუშაოებს.

წარმოდგენილი პოლიტიკა შემუშავდა თანამშრომელთა და ყველა დაინტერესებული მხარის მაღალი ჩართულობით და მოიცავს PDCA ციკლის ოთხი ძირითადი ურთიერთდაკავშირებული ელემენტის (დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და გაუმჯობესება) უწყვეტი პროცესის უზრუნველყოფის მექანიზმებს.

3.2 <u>საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</u>

მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი მუდმივად განიცდის დახვეწას და გაუმჯობესებას, რაც წლების მანძილზე ასახულია საგანმანათლებლო პროგრამების ეოველწლიური თვითშეფასების ანგარიშებში. 2017 წლისათვის საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურისა და შინაარსის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით აღსანიშნავის შენდეგი ღონისძიებები:

- **საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასებების მომზადება და წარდგენა განათლების ხარისხის განვითარების ცენტრში**

ფაკულტეტის ხუს-ის უფროსებმა 2017 წლის მაისში წარმოადგინეს საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასებები და შესაბამისი დანართების პაკეტი. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სამსახურმა შეასრულა მათი განხილვა და რევიზირება. საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასება ასახავს ინფორმაციას პროგრამის მდგომარეობაზე საანგარიშო პერიოდში (2016 წლის მაისიდან 2017 წლის მაისამდე).

- **2017-2018 სასწავლო წლის საგანმანათლებლო პროგრამების პაკეტების განახლება და აკადემიური საბჭოსათვის წარდგენა**

2017-2018 სასწავლო წლის საგანმანათლებლო პროგრამებში აისახა უნივერსიტეტის მიერ სასწავლო პროცესისა და შეფასების საკითხებზე მიღებული რეგულაციები.

ხუს-ის მიერ წარდგენილი ანალიზის შესაბამისად, უნივერსიტეტი გადავიდა ერთ შუალედური გამოცდაზე, ხოლო შუალედური შეფასების ზღვრულ ქულად განისაზღვრა 18-25 ქულა. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსებში შეიცვალა და გაუმჯობესდა შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები.

შეფასების სისტემისა და შეფასებასთან დაკავშირებით არსებული რეგულაციების გაუმჯობესება

2017-2018 სასწავლო წლის საგანმანათლებლო პროგრამები აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცდა სექტემბრის თვეში. ხუს-ის რეკომენდაციის მიხედვით პროგრამებს უნდა გაევლოთ შემდეგი ეტაპები:

1. პროგრამის ხელმძღვანელის მიერ 2017-2018 სასწავლო წლის პაკეტის წარდგენა, მის მიერ დაგეგმილი ცვლილებების იდენტიფიცირება და არგუმენტირებული დასაბუთება.
2. განმახორციელებელი დეპარტამენტის შუამდგომლობა;
3. 2017-2018 სასწავლო წლის პაკეტის წარდგენა ფაკულტეტის ხუს-ში;
4. 2017-2018 სასწავლო წლის პაკეტების რევიზირება ფაკულტეტის ხუს-ის მიერ;
5. 2017-2018 სასწავლო წლის პაკეტების რევიზირება აწსუ-ს ხუს-ისა და შიდა ექსპერტების მიერ;
6. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება;
7. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება.

2017-2018 სასწავლო წლის საგანმანათლებლო პროგრამების პაკეტების წარდგენა მოხდა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ოფიციალური წერილის თანხლებით. პაკეტები წარმოდგენილ იქნა ხუს-ის მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად (რეკომენდაციები - პროგრამების წარდგენა ელექტრონული კატალოგისათვის).

ხუს-ის წარდგინებით, აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა 2017-2018 სასწავლო წლის საგანმანათლებლო პროგრამები.

მიუხედავად წინასწარ დაგეგმილი პროცესისა, შეზღუდული დროის გამო, ვერ მოხერხდა 2017-2018 სასწავლო წლის პაკეტების რევიზირება აწსუ-ს ხუს-ისა და შიდა ექსპერტების მიერ თუმცა ეს პროცესი შემდგომ დროისათვის დაიგეგმა.

- **2017-2018 სასწავლო წლის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების პაკეტების შიდა გადამოწმება**

2017 წლის ოქტომბერში ფაკულტეტების ხუს-ის სამსახურებმა დაიწყეს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების გადახედვა და შესაბამისი კომენტარების გაკეთება, შეადარეა არსებული პროგრამების სწავლის შედეგები სასწავლო კურსის შედეგებს, რეგულირებადი პროგრამების შემთხვევაში მოხდა მათი დარგობრივ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა.

პროგრამების გადამოწმების შედეგები განიხილეს შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელებთან.

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

- **მედიცინის ერთსაფეხურიანი პროგრამის „მედიცინა+ PBL“ განმავითარებელი შეფასება**
  2017 წლის 6 დეკემბერს, აკრედიტაციის საერთაშორისო ექსპერტები - ლილიანა მარსელა როგოზეა და ბრუნო კარდინაუდი პროექტ STUDY IN GEORGIA-ს ფარგლებში,
- **აკადემიურ საგანმანათლო პროგრამებზე სასწავლო კურსებში ჩატარებული შუალედური და დასკვნითი შეფასებების მონიტორინგი**

2017 წლის მარტის თვეში აწსუ-ს რექტორის ბრძანებით შეიქმნა აკადემიურ საგანმანათლო პროგრამებზე სასწავლო კურსების შუალედური და დასკვნითი შეფასებების მონიტორინგის საუნივერსიტეტო კომისია, რექტორის მოადგილის ასოც. პროფ. შალვა კირთაძის ხელმძღვანელობით. კომისიის შემადგენლობაში იყვნენ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების ხუს-ის უფროსები.

2016-2017 სასწავლო წლის I სემესტრის დასკვნითი გამოცდის შედეგების გადამოწმება ჩატარდა ფაკულტეტების მიხედვით, აწსუ-ში არსებული ფაკულტეტების ნუმერაციის დაცვით. შემოწმებისათვის გამოყენებულ იქნა შემთხვევითი შერჩევის მეთოდი და საშუალოდ 20-30 კაციან ჯგუფში აკადემიური მოსწრების მიხედვით შეირჩა დაბალი, საშუალო და მაღალი ქულის ორ-ორი ნაშრომი. გადაიხედა და შემოწმდა ყველა ნაშრომი, რომელიც გავიდა აპელაციაზე. გადამოწმდა თუ რამდენად შესაბამისობაშია საგამოცდო საკითხები სილაბუსთან, რამდენად ვალიდურია საკითხები, რამდენად სწორადაა გამოყენებული შეფასების კრიტერიუმები. საგამოცდო საკითხების სილაბუსებთან შესაბამისობის შემოწმებისათვის ფაკულტეტის ხუს-ის უფროსებმა კომისიას წარუდგინეს პროგრამების პაკეტები.

აკადემიურ საგანმანათლო პროგრამებზე სასწავლო კურსების შუალედური და დასკვნითი შეფასებების მონიტორინგის შედეგების მიხედვით საუნივერსიტეტო მასშტაბით გასაუმჯობესებელია შეფასების კრიტერიუმების ნათლად წარმოჩენა სილაბუსში და ამ კრიტერიუმების შესაბამისობა საგამოცდო საკითხებთან.

- **სტანდარტი 3-ის შესაბამისი სამუშაოების დადასტურებები**

- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა-EP-QA;
- საგანმანათლებლო პროგრამების 2016 წლის თვითშეფასებები;
- საგანმანათლებლო პროგრამების 2017-2018 წლის პაკეტები;
- მედიცინის ერთსაფეხურიანი პროგრამის „მედიცინა+ PBL“ განმავითარებელი შეფასება;
- საგანმანათლო პროგრამებზე სასწავლო კურსებში ჩატარებული შუალედური და დასკვნითი შეფასებების მონიტორინგის ბრძანება და შესაბამისი ოქმები;
- ფაკულტეტების ხუს-ის წლიური ანგარიშები;
- ურთიერთდასწრების გზით სასწავლო პროცესზე დაკვირვების გრაფიკები და შესაბამისი დოკუმენტები;
- სამუშაო შეხვედრების ოქმები;
- სამუშაო შეხვედრების ამსახველი ფოტომასალა.

სტანდარტი 4. აწსუ-ს პერსონალი

აღნიშნულ სტანდარტთან მიმართებით GAP-ანალიზის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი სამუშაოების საჭიროება:

4.1. პერსონალის მართვა

- პერსონალის მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გამართვა, რომელიც მოიცავს პერსონალის მოზიდვის, შერჩევის, დასაქმების და პროფესიული განვითარების მექანიზმებს.
- პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევა
- სამიზნე ნიშნულების დადგენა პერსონალთან მიმართებაში
- აფილირების წესისა და პირობების მარეგულირებელი დოკუმენტის შემუშავება
- დასაქმებული პერსონალის შესახებ ინფორმაციის განახლება და სტატისტიკური მაჩვენებლების (სხვადასხვა ჭრილში) დამუშავება

<u>4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა</u>

- პროგრამების მიხედვით აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შექმნა;

➢ სტანდარტი 4-ის შესაბამისი სამუშაოების დადასტურებები

- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა-EP-QA;
- აფილირების წესი;
- აკადემიური პერსონალის ხელშეკრულებები აფილირების შესახებ;
- სამუშაო შეხვედრების ოქმები;
- სამუშაო შეხვედრების ამსახველი ფოტომასალა.

სტანდარტი 5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

<u>5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები</u>

- სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმი;
- სტუდენტთა გამოკითხვა და შედეგების ანალიზი;

<u>5.2. სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები</u>

- განხორციელებული სტაჟირებისა და პრაქტიკის პროგრამების ანალიზი;
- კარიერული მხარდაჭერის სერვისის გაუმჯობესება;
- განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებების (დასაქმების ფორუმები, სამუშაო შეხვედრები, თემატური კონფერენციები, სტუდენტებისთვის გაწეული ინდივიდუალური კონსულტაციები და სხვა.) ანალიზი;
- სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების კვლევა, მათ შორის, მინიჭებული კვალიფიკაციების მიხედვით;
- დამსაქმებლებთან თანამშრომლობა და შედეგები
- დამსაქმებლების ბაზის შექმნა და მუდმივად აწვდის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან დაკავშირებით;
- კვლევა სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების შემდგომი აკადემიური და პროფესიული წინსვლის შესახებ.
- სტუდენტების ინფორმირების მექანიზმი საერთაშორისო მობილობისა და სხვადასხვა პროექტში მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ
- უცხოელ სტუდენტთა მოზიდვის მექანიზმების გაუმჯობესება;
- უცხოელი სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი სერვისებისა და საორიენტაციო შეხვედრების დაგეგმვა;
- სტატისტიკური ინფორმაციის შეკრება და ანალიზი.

სტანდარტი 6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

6.1 კვლევითი საქმიანობა

- აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო/შემოქმედებითი აქტივობის ანალიზი
- თანამშრომლობის მემორანდუმი ეკონომიკურ აგენტებთან და მათთან თანამშრომლობით დაგეგმილი, მიმდინარე და განხორციელებული კვლევითი პროექტების მონაცემების შეგროვება;
- ფაკულტეტების კვლევითი პროფილების შემუშავება
- აწსუ-ს ფუნდამენტური და/ან გამოყენებითი კვლევების/შემოქმედებითი საქმიანობის განვითარების სტრატეგიის ფორმირება;
- სადოქტორო ნაშრომების შეფასებისა და დაცვის მარეგულირებელი წესის გაუმჯობესება

6.2 კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- კვლევების დაფინანსების საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები;
- კვლევებისა და შემოქმედებითი საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმები;
- უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით/სახელოვნებო-შემოქმედებით საქმიანობაში ახალგაზრდა კადრების მოზიდვის, ჩართვისა და მხარდაჭერის სტრატეგია;
- ტუდენტთა გამოკითხვის ჩატარება და შედეგების ანალიზი;
- ერთობლივი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები ან მათ განსახორციელებლად პარტნიორების მოპოვების სამოქმედო გეგმა;

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

- კვლევის/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმის შემუშავება და შეფასების შედეგების ანალიზი;
- პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემის შემუშავება;
- განხორციელებული კვლევების შესახებ ანგარიში (აკადემიური პერსონალის აფილირების გათვალისწინებით);

სტანდარტი 7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

7.1 მატერიალური რესურსი

- საგანმანათლებლო პროგრამები და მათში მითითებული გამოსაყენებელი მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და მისი შესაბამისობა მატერიალურ რესურსებთან;
- ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროების მქონე პირისათვის ან/და შემდგომი განვითარების გეგმა;

7.2 საბიბლიოთეკო რესურსები

- ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობის შეფასება საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებისა და ინსტრუქციების გაუმჯობესება და ფართო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

7.3 საინფორმაციო რესურსი

- ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გაწერა;
- ადმინისტრირების, პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების წესის შემუშავება;
- ელექტრონული სერვისებისა და მართვის ელექტრონული სისტემების განვითარების მექანიზმები;
- ბიზნესუწყვეტობის სამოქმედო გეგმის განვითარება.
- მოქმედი ვებგვერდის განვითარება ქართულ და ინგლისურ ენებზე; ინფორმაციის რეგულარული განახლება და ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების უზრუნველყოფა.

7.4 ფინანსური რესურსი

- პასუხისმგებლობების გადანაწილების, დელეგირებებისა და ანგარიშვალდებულების წესისა

და ფორმის გაუმჯობესება;

- ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის დოკუმენტის ფორმირება;
- ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ფუნქციონირების შეფასების დოკუმენტის შემუშავება.

აწსუ-ს ბიბლიოთეკის ფუნქციონირებისა და სერვისების შესახებ

აწსუ-ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა გიორგი ჭიჭინაძემ წარმოადგინა პრეზენტაცია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფუნქციონირებისა და სერვისების შესახებ.

განიხილეს ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგის, ბაზებისა და ბიბლიოთეკის სერვისების შესაძლებლობები და მოხმარების წესები.

ელექტრონულ ბაზებზე წვდომა საუკეთესო სერვისია სასწავლო-სამეცნიერო სამუშაოებისათვის, რომელიც მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე სწავლებაში.

ფაკულტეტის ხუს-ის უფროსებმა და ტუტორებმა მიიღეს სასარგებლო და ამომწურავი ინფორმაცია ბიბლიოთეკის ფუნქციონირების, არსებული და მომავალში დაგეგმილი სერვისების შესახებ.

ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან შესაბამისობის შემოწმება

ავტორიზაციის სტანდარტების ერთ-ერთი მოთხოვნაა სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურის ხელმისაწვდომობა დაწესებულების ბიბლიოთეკაში.

ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ჩატარდა შემოწმება, რისთვისაც დახმარება ეთხოვათ ფაკულტეტის ტუტორებს. მათ შეამოწმენ ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან და შესაბამისი შედეგები წარუდგინონ ფაკულტეტის ხუს-ის უფროსს.

ფაკულტეტის ხუს-ის უფროსებმა კოორდინირება გაუწიეს ტუტორებს ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან შესაბამისობის შემოწმებაში, მიაწოდეს მათ პროგრამების პაკეტები და ხელი შეუწყეს სამუშაოების შესრულებას.

ფაკულტეტის ხუს-ებისა და ტუტორების მიერ ორი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა საგანმანათლებლო პროგრამების ლიტერატურით უზრუნველყოფისა და ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომობის შემოწმება. ტუტორები ამოწმებდნენ ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგს, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის კატალოგს და შესაბამისი ანგარიში წარადგინეს ფაკულტეტის ხუს-ებთან.

ფაკულტეტის ხუს-ის უფროსებმა საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების ლიტერატურით უზრუნველყოფისა და ბიბლიოთეკის ფონდში ხელმისაწვდომობის შემოწმების შედეგები გადასცეს შესაბამისი პროგრამისა და ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს.

2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განვითარება

საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის სისტემა შედგება სხვადასხვაგვარი პოლიტიკისაგან, პროცედურებისა და ინსტრუქციებისგან/წესებისგან/გზამკვლევებისგან, რომლებზე დაყრდნობითაც წარიმართება უნივერსიტეტის საქმიანობა.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება სამ ძირითად პოლიტიკას და მოიცავს ექვს ძირითად პროცედურას. მათ შორისაა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა დაგანვითარების პროცედურები, რომლებიც აქტიურად გამოიყენეს ავტორიზაციისთვის და იყენებენ ფაკულტეტები პროგრამული აკრედიტაციისთვის საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებისთვის.

2017 წელს საზღვაო სატრანსპორტო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სამუშაო გეგმის შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის ფარგლებში გაწეული იქნა შემდეგი სამუშაო:

- განხორციელდა საბაკალავრო პროგრამის „საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტი“ თვითშეფასების ყოველწლიური წარდგენა და რევიზია. აქტიური მუშაობა იქნა გაწეული პროგრამის შეფასების სისტემის დახვეწაზე.
- გაკეთდა პროგრამის SWOT ანალიზი: გამოიკვეთა პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები, განვითარების შესაძლებლობები და განხორციელების რისკები.
- პროგრამების შუალედური მონიტორინგის ფარგლებში მოხდა ფაკულტეტზე მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემების ელექტრონული ვერსიების განახლება.
- შეიქმნა საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტის სპეციალობის კურსდამთავრებულთა ბაზა.

მომქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით ჩატარდა სტუდენტთა კონტინგენტის გენდერული ანალიზი; სტუდენტთა გამოკითხვა; კურსდამთავრებულთა გამოკითხვა; შრომის ბაზრის ანალიზი და მიღებული მონაცემების საფუძველზე განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირება.

საბაკალავრო პროგრამის „საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტი“ მოდიფიცირებას საფუძვლად დაედო აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საზღვაო სატრანსპორტო ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის პრიორიტეტი „საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება“, რომლის ერთ-ერთი ამოცანაა შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისად ახალი აკადემიური და პროფესიული პროგრამების შემუშავება.

პროგრამის შიდა მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების გამოყენების, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა გამოკითხვების, დამსაქმებლებთან შეხვედრების, დისკუსიების, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობის შეფასებამ, სახელმწიფოს მხრიდან არადაფინანსებადი პროგრამებისადმი აბიტურიენტთა და სტუდენტთა ინტერესის შემცირებამ აჩვენა, რომ ფოთის რეგიონისათვის, მოცემულ ეკონომიკურ პირობებში, ერთის მხრივ, როცა საკვანძო სატრანზიტო რეგიონად ჩამოყალიბების პროცესში საქართველო ასრულებს კავკასიის სატრანსპორტო-ლოგისტიკური ცენტრის ფუნქციას და მეორეს მხრივ, როცა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერა საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია (რაც ასახულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში - საქართველო 2020), აქტუალურია ზოგადი პროფილის „მენეჯმენტის“ პროგრამის განხორციელება „საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტისა“ და „მცირე ბიზნესის მართვის“ კონცენტრაციებით.

აღნიშნული სახით პროგრამის შემუშავების აქტუალობა განპირობებული იყო რეგიონული ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ხასიათით და ადგილობრივი ფირმების მხრიდან გაზრდილი მოთხოვნილებით ისეთ სპეციალისტებზე, რომლებსაც მართვის თანამედროვე მეთოდებისა და პრინციპების თეორიულ ცოდნასთან ერთად აქვთ რეგიონალური ბიზნესის ძირითად ფუნქციონალურ მიმართულებებში (საზღვაო გადაზიდვები, ლოჯისტიკური ფირმები,

საზღვაო ნავსადგურები, სატრანსპორტო საწარმოები, საბანკო და მიკრო-საფინანსო დაწესებულებები) მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების, განსაკუთრებით მცირე ბიზნესის წინაშე მდგარი პრობლემების ანალიზის უნარი და შეუძლიათ ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღება.

ამასთან, ზოგადი პროფილის „მენეჯმენტის“ პროგრამის განხორციელება შეამცირებს რეგიონიდან ახალგაზრდა თაობის გადინებას (მიგრაციას) და ხელს შეუწყობს გენდერული ბალანსის აღდგენას. ფაკულტეტზე სტუდენტთა შემადგენლობის ანალიზმა აჩვენა, რომ მდედრობითი სქესის აბიტურიენტების ხვედრითი წილი სულ უფრო მცირდება, რადგანაც მათთვის მოქმედი პროგრამა სახელწოდებით „საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტი“ არამიმზიდველია.

შემუშავდა მოდერნიზებული საბაკალავრო პროგრამის „მენეჯმენტი“ სრული პაკეტი და 2018 წლის აპრილში წარდგენილ იქნა აკრედიტაციაზე. 2018 წლის ოქტომბერში პროგრამამ გაიარა აკრედიტაციის პროცედურა და ელოდება აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის მინიჭების შესახებ.

ავტორიზაციისათვის მზადების პროცესში დამუშავებული იქნა ფაკულტეტის სტატისტიკური მონაცემები პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, მატერიალური ბაზის შესახებ.

აგრარულ ფაკულტეტზე აქტიურად მიმდინარეობდა საგანმანთლებლო პროგრამების მომზადება აკრედიტაციაზე წარსადგენად. ფაკულტეტზე მოქმედ პროგრამებს აკრედიტაციის ვადა გადის 2018 წლის 31დეკემბერს.

აკრედიტაცია წარმატებით გაიარა სადოქტორო პროგრამამ „აგრონომია“ და საგანამანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით N47 2018 04.04 სსიპ აკაკი წერეთლის სახემწიფო უნივერსიტეტის აგრონომიის სადოქტორო საგანამანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია.

ფაკულტეტმა აქტიურად იმუშავა საბაკალავრო პროგრამებზე „აგრონედლეულის კვების პროდუქტების ტექნოლოგია და ექსპერტიზა“ და „აგრონომია“, სამაგისტრო პროგრამაზე „ლანდშაფტური არქიტექტურა“. მოდიფიცირებული პროგრამები ფაკულტეტის ხარისხის უზურუნველყოფის სამსახურის დასკვნის საფუძველზე და უნივერსიტეტის ხარისხის უზურნველყოფის სამსახურის მონიტორინგის შემდეგ გატანილი იქნა უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოზე და მიეცა რეკომენდაცია აკრედიტაციაზე წარდგენის შესახებ. 2018 წლის ოქტომბერში გაკეთდა განაცხადი აკრედიტაციის მაძიებლად ცნობის შესახებ.

აგრარულ ფაკულტეტზე გრძელდება მოქმედი სამაგისტრო პროგრამების მომზადება აკრედიტაციისთვის აწსუ-ში მოექმედი პროცედურების დაცვით.

აგრარულ ფაკულტეტი აქტიურად იყო ჩართული უნივერსიტეტის ავტორიზაციის მოსამზადებელ პროცესებში პროცესში. და თავად ავტორიზაციის პროცესში.





საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტის ხარისხის სამსახური აქტიურად იყო ჩართული ავტორიზაციისათვის მზადების ფარგლებში უნივერსიტეტის და ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმის, პროგრამული და კვლევითი პროფილების შექმნის პროცესში.

ჩატარებული იქნა მოქმედი აკადემიური პროგრამების შიგა შეფასების პროცედურა. შესწავლილი იქნა პროგრამების დოკუმენტური უზრუნველყოფა, ხლმძღვანელისა და პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობა პროგრამის მიზნებთან და მისაღწევ შედეგებთან;

კურიკულუმის შიგა სტრუქტურა და მისი შესაბამისობა კურსების სილაბუსებთან. ყოველი პროგრამისათვის შედგენილი იქნა შიგა შეფასების ანგარიში. აღნიშნული ანგარიშები გადაეცა პროგრამების ხელმძღვანელებს პროგრამებში გამოვლენილი ხარვეზების გასასწორებლად. დეპარტამენტების აკადემიურ პერსონალს მიეწოდა ინფორმაცია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული პროგრამის კურიკულუმისა და კურსის სილაბუსის ახალი ფორმების შესახებ.

დეპარტამენტებში მოხდა არსებული საგანმანათლებლო პროგრამების დოკუმენტაციის ახალ ფორმებში გადაყვანის კოორდინაცია.

ავტორიზაციის და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის და შესაბამისად, პროგრამების სრულყოფის მიზნით, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა 2017 წლის დასაწყისში პროგრამის ხელმძღვანელებთან და აკადემიურ პერსონალთან კოორდინირებული მუშაობის შედეგად განახორციელა 8 საბაკალავრო, 8 მაინორ-პროგრამის, 9 სამაგისტრო და 5 სადოქტორო პროგრამის განახლება-მოდიფიცირება:

საბაკალავრო პროგრამები: მათემატიკა, კომპიუტერული მეცნიერებები, ქიმია, გეოგრაფია, ბიოლოგია, ეკოლოგია, გამოყენებითი ბიომეცნიერებები (ბიოტექნოლოგია), ფიზიკა.

სამაგისტრო პროგრამები: მათემატიკა, ქიმია, რეგიონალური გეოგრაფია და რეკრეაციული რესურსები, ბიოლოგია, გამოყენებითი ბიომეცნიერებები (ბიოტექნოლოგია), თეორიული ფიზიკა, კომპიუტერული მეცნიერებები, ინფორმაციული სისტემები, ელექტრონული ბიზნესი.

სადოქტორო პროგრამები: ფიზიკა, ფუნქციათა თეორია, დიფერენციალური განტოლებები, გეოგრაფია, ნეირომეცნიერებები.

განხორციელდა 2014, 2015, 2016, 2017 წლიდან ფაკულტეტზე მოქმედი სასწავლო პროგრამების კურიკულუმებსა და სილაბუსებში ცვლილებები, რომელიც შეეხო სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემას. დაიხვეწა შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესი“ (2016.29.01 და 2016.18.08 ცვლილებების და ასევე აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 სექტემბრის დადგენილება №5 (17/18) აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ“ გათვალისწინებით. მომზადდა პროგრამული პაკეტი ყველა საჭირო დოკუმენტაციით.

სასწავლო წლის დასაწყისში განხორციელდა ფაკულტეტეზე არსებული საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სასწავლო გეგმების გრაფიკის ფორმებში ასახვა და სასწავლო-მეთოდური განყოფილებისთვის მიწოდება.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეისწავლა დეპარტამენტების ხელმძღვანელთა მიერ მოწოდებული სასწავლო დატვირთვების სასწავლო გეგმებთან შესაბამისობის საკითხი.

2017 წლის სექტემბრისათვის პორტალზე განთავსებულ იქნა 2017-2018 სასწავლო წლისათვის დამტკიცებული ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით ხელი შეუწყო საჭირო საბაზისო ინფორმაციის შეტანას.

შიდასაუნივერსიტეტო შეფასებისა და მონიტორინგის ეფექტურად ჩატარების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა აქტიურად ითანამშრომლა საგანმანათლებლო პროგრამების პაკეტების მართვადი ელექტრონული ბაზების შექმნის პროცესში.

საანგარიშო წლის განმავლობაში განუწყვეტლივ ხორციელდებოდა ავტორიზაციის პროცესის მეთოდურ-ექსპერტული უზრუნველყოფა, თვითშეფასებების მომზადება; განხორციელდა ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შიდა შეფასება და საგანმანათლებლო

პროგრამების პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად, თანდართული დოკუმენტაციის მომზადების კოორდინირება; მომზადდა ფაკულტეტზე მოქმედი სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების SWOT ანალიზი;

2017 წლის საგაზაფხულო სემესტრის ბოლოს, უზრუნველყოფილ იქნა ყოველწლიურად აკრედიტაციის ცენტრში წარსადგენი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების კითხვარების მომზადება, შეგროვება და მონიტორინგი; კერძოდ, მომზადდა საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასებები და შესაბამისი დანართების პაკეტი, სადაც აისახა ინფორმაცია პროგრამის მდგომარეობაზე საანგარიშო პერიოდში (2016 წლის მაისიდან 2017 წლის მაისამდე).

პროგრამების შუალედური მონიტორინგის ფარგლებში მოხდა ფაკულტეტზე მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართული აკადემიური პერსონალის პირადი საქმეების ელექტრონული ვერსიების შექმნა-განახლება ქართულ და ინგლისურ ენებზე; მათი განთავსება ელექტრონულ დეკანატში.

2017 წლის დასაწყისიდან დეკემბრის ჩათვლით, თვეში ერთხელ ფაკულტეტის დეპარტამენტებში ტარდებოდა სემინარები და სამუშაო ჯგუფების შეხვედრები (workshop) ისეთ თემებზე, როგორიცაა: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2018-2020 წლის სამოქმედო გეგმა; აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის საკვანძო ინდიკატორების 2018-2024 წწ-ის მონიტორინგის გეგმა; ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კვლევითი და საგანმანათლებლო პროფილი; უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პოლიტიკა და პროცედურები; აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველყოფის კოდექსი; უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესი; **პროგრამის თვითშეფასების ანალიზი და SWOT - ანალიზი;** როგორ შევარჩიოთ სწავლების მეთოდები; სტუდენტთა ცოდნის შეფასების ფორმები; როგორ ჩამოვაყალიბოთ სწავლების შედეგები; სტუდენტთა პერსონალური განვითარების თვითშეფასება და უკუკავშირი; მიმდინარე საკითხების განხილვა.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის სამსახურმა 2017 წლის განმავლობაში სამუშაო გეგმის შესაბამისად შეასრულა შემდეგი აქტივობები:

- განხორციელდა ფაკულტეტეზე არსებული 9 საბაკალავრო, 16 სამაგისტრო და 9 სადოქტორო პროგრამების მონიტორინგი;
- მთელი სასწავლო წლის განმავლობაში ხდებოდა ავტორიზაცია/ აკრედიტაციისათვის საგანმანათლებლო პროგრამების მოწესრიგება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ახალი სტანდარტების შესაბამისად. ამ მოთხოვნების გათვალისწინებით ხარისხის სამსახურმა უზრუნველყო საგანამანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების შესაბამის ფორმაში მოყვანა;
- აქტიური მონაწილეობა მიიღო ავტორიზაცია/აკრედიტაციასთან დაკავშირებულ საკითხების განხილვაში (მოწვეულ ექსპერტებთან შეხვედრები–კონსულტაციები, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან და ფაკულტეტის დეპარტამენტებთან შეხვედრები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ახალი სტანდარტების და უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის შესახებ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი პროფილების მოზადება და ა.შ.);

2017–2018 სასწავლო წლის I სემესტრში სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით შეფასების სისტემა განიცადა ცვლილებები. ფაკულტეტის ხარისხის სამსახურმა მოამზადა და ყველა დეპარტამენტს და პროგრამების ხელმძღვანელებს გააცნო შეფასების რუბრიკები. აღნიშნული რეკომენდაციები აისახა სილაბუსებში და დაინერგა სასწავლო პროცესში.

ფაკულტეტის ხარისხის უზურნველყოფის სამსახურმა როგრამების ხელმძღვანელებთან გამართა ინდივიდუალური შეხვედრები ავტორიზაციის საკითხებსა და პროგრამების სრულყოფასთან დაკავშირებით.





2016-2017 სასწავლო წლებში საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელებული ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანილ იქნა სასწავლო გრაფიკები და გადეცა სასწავლო-მეთოდურ განყოფილებას; ასევე განხორციელდა პროფესორ-მასწავლებელთა ინდივიდუალური დატვირთვების მონიტორინგი.

კანონში უმაღლესი განათლების შესახებ, შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით, მიმდინარე სასაწავლო წელს პედაგოგიურ ფაკულტეტზე მომზადდა და აკრედიტაცია გაიარა მასწავლებლის მოსამზადებელმა ერთწლიანმა საგანმანათლებლო პროგრამამ, რომელიც შედგება 12 ისეთი მოდულისაგან, რომელი დისციპლინებიც დღეს ისწავლება საჯარო. აღნიშნული პროგრამის 9 მოდულზე ჩარიცხულია 74 მასწავლებლობის მსურველი პირი, რომლებსაც კურსის გავლის შემდეგ მიენიჭებათ უფროსი მასწავლებლის სტატუსი და მიეცემათ შესაბამისი დოკუმენტი.

კანონში უმაღლესი განათლების შესახებ, შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით, 2017 წლის დეკემბერში გამოქვეყნდა 300 კრედიტიანი ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლები, აქედან გამომდინარე ფაკულტეტის ყველა სტრუქტურულ ერთეულზე გადანაწილდა დავალებები და დაიწყო მზადება აღნიშნული პროგრამის ავტორიზაცია-აკრედიტაციისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 1 აგვისტოს №90 გადაწყვეტილების საფუძველზე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პედაგოგიური ფაკულტეტის მიერ წარდგენილ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას „დაწყებითი განათლება“ მიენიჭა აკრედიტაცია. 10 აგვისტოს პროგრამა პრიროტეტულ ჩამონათვალს დაემატა. 13 აგვისტოდან ჯერ 17, ხოლო შემდეგ 27 აგვისტომდე წარმოებდა რეგისტრაცია პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი აბიტურიენტებისათვის. მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „დაწყებითი განათლება“ ჩაირიცხა 115 სტუდენტი.

რაც შეეხება ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და კვლევითი საქმიანობის გაძლიერების მიღწევის მიზნით ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის მიერ გაფორმდა მემორანდუმები:

- პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციასთან.
- შპს „ბიდიო სოლუშენთან“ - რომელმაც უნივერსიტეტში ჩატვირთა ელექტრონული პროგრამა „ბალანსი“, უფასოდ გადაამზადა თეიმურაზ გვეტაძე და სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსის - „კორპორაციული ანგარიშგების“ - სწავლება წარიმართება აღნიშნული პროგრამით;
- შპს „ალტა სოფთვეართან“ - მიღებულ იქნა ბანკი 2000-ის ელექტრონული პროგრამა საჩუქრად;
- შპს „ევროპის ბიზნეს სკოლასთან“;
- ჩეხეთის ტომას ბატას უნივერსიტეტთან ხელშეკრულება - ერთობლივი კვლევებისა და საჯარო ლექციების წაკითხვის შესახებ;
- სს სადაზღვევო კომპანია „ალდაგთან“;
- შპს ,,ნექსია თიეი აკადემია“, რომელიც ითვალისწინებს უნივერსიტეტის სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა და უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით;
- შპს “თრეიდ ჰოლდინგთან“, სადაც სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსის - „ფასიანი ქაღალდების ბაზრის“ პრაქტიკული მეცადინეობები ჩატარდება;
- შპს „სიემ ჯორჯია“
- შპს „კურორტი საირმე“

ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩატარდა შიდა საგრანტო კონკურსი - გამოვლინდა 5 გამარჯვებული პროექტი, სადაც ჩართული იყო როგორც სამაგისტრო და სადოქტორო, ისე საბაკალავრო პროგრამის 23 სტუდენტი.

პროექტების დასახელება და ხელმძღვანელები:

1. „დაზღვევა და სამართალი“ - ხელმძღვანელი თ.ხურციძე;
2. „დოქტორანტთა ინტერდისციპლინური კლასტერის - „სამართალი, სახელმწიფო, პოლიტიკა, ეკონომიკა“ - დაფუძნებისთვის მოსამზადებელი პროექტი“ (ხელმძღვანელი: პროფ. გიორგი ღავთაძე),
3. „საარჩევნო მარკეტინგისა და პოლიტიკური რეკლამის როლი აწსუ სტუდენტთა სწავლებისა და პოლიტიკური მსოფლ-მხედველობის ფორმირებაში“ (ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. ავთანდილ ბუცხრიკიძე)
4. ევროკავშირის ბაზარზე პროდუქციის (მწვანილის) მიწოდების, იმერეთის აგროზონის, საექსპორტო შესაძლებლობები, ხელმძღვანელი შ.ლომინაშვილი
5. ბიზნესის განვითარების პოტენიცალის შესწავლა იმერეთის რეგიონში არსებული ბიზნესისათვის, ხელმძღვანელი გოდერძი შანიძე.

2018 წლის 8 მაისი თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა (გიორგი შიხაშვილი) აკადემიური და მოწვეული პერსონალი გადაამზადა თანამედროვე მეთოდოლოგიურ ტექნოლოგიებში სტუდენტთა სწავლების პროცესში.

2018 წლის 12-13 მაისს გადამზადდა აკადემიური და მოწვეული პერსონალი (20 მონაწილე) სწავლა/სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდებში

აღსანიშნავია, რომ ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ გამოქვეყნდა 5 სტატია ინფაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში:

- IPASJ International Journal of Management (IIJM) Web Site: http://www.ipasj.org/IIJM/IIJM.htm ISSN 2321-645X;
- The Journal of Middle East and North Africa Sciences http://oaji.net/articles/2017/2705-1517397910.pdf
- International Journal of Current Advanced Research, ISSN: O: 2319-6475,ISSN: P: 2319-6505, Impact Factor: SJIF: 5.995 Available Online at www.journalijcar.org Volume 7; Issue3(E); DOI: http://dx.doi.org/10.24327/ijcar.2018.10745.1835
- Social Educational Project of Improving Knowledge in Economics. Journal SEPIKE Edition 19. Frankfurt, Deutschland Poitiers, France. Los Angeles, USA http://docs.wixstatic.com/ugd/b199e2_3b1c20ab75e544fa8b2831792621cf12.pdf
- European Journal of Humanities and Social Sciences, «East West» Association for Advanced Studies and Higher Education GmbH. -Vienna.

საინჟინრო-ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე 2017 წლისათვის საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურისა და შინაარსის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასებების მომზადება და წარდგენა განათლების ხარისხის განვითარების ცენტრში

2017 წლის მაისში საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა წარმოადგინა საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასებები და შესაბამისი დანართების პაკეტი. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სამსახურმა შეასრულა მათი განხილვა და რევიზირება. საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასება ასახავს ინფორმაციას პროგრამის მდგომარეობაზე საანგარიშო პერიოდში (2016 წლის მაისიდან 2017 წლის მაისამდე).

○ 2017-2018 სასწავლო წლის საგანმანათლებლო პროგრამების პაკეტების განახლება და აკადემიური საბჭოსათვის წარდგენა

2017-2018 სასწავლო წლის დასაწყისში საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა წარადგინა პროგრამის განახლებული პაკეტები. სამუშაო შესრულდა პროგრამის ხელმძღვანელებთან და აკადემიურ პერსონალთან კოორდინირებული მუშაობის შედეგად. საგანმანათლებლო პროგრამებში აისახა უნივერსიტეტის მიერ სასწავლო პროცესისა და შეფასების საკითხებზე მიღებული რეგულაციები.

2017-2018 სასწავლო წლის საგანმანათლებლო პროგრამების პაკეტების წარდგენა მოხდა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ოფიციალური წერილის თანხლებით. პაკეტები წარმოდგენილ იქნა ხუს-ის მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად (რეკომენდაციები - პროგრამების წარდგენა ელექტრონული კატალოგისათვის). ხუს-ის წარდგინებით, სექტემბრის თვეში, აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა 2017-2018 სასწავლო წლის საგანმანათლებლო პროგრამები.

ხუს-ის მიერ წარდგენილი ანალიზის შესაბამისად, უნივერსიტეტი გადავიდა ერთ შუალედური გამოცდაზე, ხოლო შუალედური შეფასების ზღვრულ ქულად განისაზღვრა 18-25 ქულა. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსებში შეიცვალა და გაუმჯობესდა შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები.

○ 2017-2018 სასწავლო წლის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების პაკეტების შიდა გადამოწმება

2017 წლის ოქტომბერში ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა დაიწყო საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების გადახედვა და შესაბამისი კომენტარების გაკეთება, შეადარა არსებული პროგრამების სწავლის შედეგები სასწავლო კურსის შედეგებს. პროგრამების გადამოწმების შედეგები განხილულია შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელებთან.

○ აკადემიურ საგანმანათლო პროგრამებზე სასწავლო კურსებში ჩატარებული შუალედური და დასკვნითი შეფასებების მონიტორინგი

2017 წლის მარტის თვეში აწსუ-ს რექტორის ბრძანებით შეიქმნა აკადემიურ საგანმანათლო პროგრამებზე სასწავლო კურსების შუალედური და დასკვნითი შეფასებების მონიტორინგის საუნივერსიტეტო კომისია, რექტორის მოადგილის ასოც. პროფ. შალვა კირთაძის ხელმძღვანელობით. კომისიის შემადგენლობაში იყვნენ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების ხუს-ის უფროსები.

2016-2017 სასწავლო წლის I სემესტრის დასკვნითი გამოცდის შედეგების გადამოწმება ჩატარდა ფაკულტეტების მიხედვით, აწსუ-ში არსებული ფაკულტეტების ნუმერაციის დაცვით. შემოწმებისათვის გამოყენებულ იქნა შემთხვევითი შერჩევის მეთოდი და საშუალოდ 20-30 კაციან ჯგუფში აკადემიური მოსწრების მიხედვით შეირჩა დაბალი, საშუალო და მაღალი ქულის ორ-ორი ნაშრომი. გადაიხედა და შემოწმდა ყველა ნაშრომი, რომელიც გავიდა აპელაციაზე. გადამოწმდა თუ რამდენად შესაბამისობაშია საგამოცდო საკითხები სილაბუსთან, რამდენად ვალიდურია საკითხები, რამდენად სწორადაა გამოყენებული შეფასების კრიტერიუმები. საგამოცდო საკითხების სილაბუსებთან შესაბამისობის შემოწმებისათვის ფაკულტეტის ხუს-ის უფროსებმა კომისიას წარუდგინეს პროგრამების პაკეტები.

აკადემიურ საგანმანათლო პროგრამებზე სასწავლო კურსების შუალედური და დასკვნითი შეფასებების მონიტორინგის შედეგების მიხედვით საუნივერსიტეტო მასშტაბით გასაუმჯობესებელია შეფასების კრიტერიუმების ნათლად წარმოჩენა სილაბუსში და ამ კრიტერიუმების შესაბამისობა საგამოცდო საკითხებთან.

აკადემიური მოსწრება

EP-QA 1.2 საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურის შესაბამისად სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი ითვალისწინებს:

- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგისა და ანალიზის წარმმართველ პირს/სტრუქტურას წარმოადგენს შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაცია.
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი სრულდება რაოდენობრივი (მათ შორის გაუსის განაწილების) დ ხარისხობრივი მაჩვენებლების (პროგრამის სწავლის შედეგების) მიხედვით.
- ფაკულტეტის ადმინისტრაცია სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგებსა და მის ანალიზს (#5 პუნქტით დადგენილი პერიოდულობითა და ვადებით) უგზავნის პროგრამის ხელმძღვანელს და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

აღნიშნულის შესაბამისად, სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ ფაკულტეტების ადმინისტრაცია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთადამზადებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზს.

აგრარული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შესწავლილი და გაანალიზებული იქნა მიღებული ინფორმაცია და შემუშავდა რეკომენდაციები სტუდენტთა დაბალი აკადემიური მაჩვენებლებისა და აკადემიური დავალიანებების აღმოსაფხვრელად, რაც განხილული და დამტკიცებული იქნა ფაკულტეტის გაფართოებულ სხდომაზე.

საუნივერსიტეტო განათლების სწორი დაგეგმვის მიზნით პედაგოგიურმა ფაკულტეტმა დაამუშავა ყველა აკადემიური ჯგუფის როგორც საგაზაფხულო, ასევე საშემოდგომო სემესტრების მონაცემები, შედეგები აისახა გაუსის თანაბარი განაწილების მრუდზე, საგაზაფხულო სემესტრის მონაცემები განხილულ იქნა დეპარტამენტების სხდომაზე (ოქმი №1.08. 09.2017) და ფაკულტეტის საბჭოზე (ოქმი №5.11. 09.2015). შედეგები ინდივიდუალურად გადაეცა ყველა ლექტორს და საჭიროების შემთხვევაში შევიდა შესაბამისი ცვლილებები საგამოცდო საკითხებში და სტუდენტთა შეფასების ფორმაში.

საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის მიერ მომზადებული საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის შედეგი აჩვენებს, რომ საგანში ტესტები შედგენილია დამაკმაყოფილებელ დონეზე, თუმცა ზოგადად საჭიროა გამოცდაზე შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის გაზრდა და სტუდენტების მოტივირების დონის ამაღლება.

ანალოგიურად შესწავლილი იქნა აკადემიური მოსწრების მდგომარეობა სწავლების წლების და სასწავლო კურსების მიხედვით საგაზაფხულო სემესტრისათვის. ანალიზი აჩვენებს, რომ მიუხედავად სემესტრების განსხვავებისა შეიმჩნევა ერთი და იგივე ტენდენციები:

- ზოგადი საუნივერსიტეტო კურსების შემთხვევაში ძირითად პრობლემას წარმოადგენს საბაზისო განათლების დაბალი დონე, სტუდენტების მოტივაცია და ინფორმირებულობა.
- შედეგებზე უარყოფით გავლენას ახდენს მეცადინეობებზე დასწრების დაბალი მაჩვენებელი, ნაკლები ჩართულობა სასწავლო პროცესში, ინფორმირებულობის და მოტივაციის დაბალი დონე.
- საგამოცდო მასალები რიგ შემთხვევაში არ ასახავს ჯგუფის მომზადების დონეს. არის შემთვევები, როცა სილაბუსში მოცემული შეფასების სისტემა არ პასუხობს საგნის სპეციფიკას.

შესაბამისად შემუშავებული იქნა რეკომენდაციები მდგომარეობის გამოსასწორებლად

- სტუდენტთა მოტივაციის ამაღლების მიზნით დეპარტამენტებს და პროგრამის ხელმძღვანელებს რეკომენდაცია მიეცათ გააძლიერონ საინფორმაციო მუშაობა ჯგუფებთან პროფესიული ორიენტაციის, სწავლების მეთოდების, შრომითი ბაზრის მოთხოვნების გაცნობის მიზნით. აღნიშნულ პროცესში აქტიურად ჩაერთოს ჯგუფების კურატორები, პედაგოგები და აქტიური სტუდენტები.

- პედაგოგებს მიეცათ რეკომენდაცია მეტი ყურადღება დაუთმონ აქტივობის კომპონენტის შესრულების აუცილებლობას მეცადინეობებზე დასწრების და ჩართულობის დონის ასამაღლებლად.
- გამოვლენილ კურსებში სილაბუსების ავტორებს რეკომენდაცია მიეცათ დაიხვეწოს შეფასების სისტემა კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით.

ანალიზის შედეგები განხილული იქნა ფაკულტეტის დეპარტამენტებთან და ფაკულტეტის ჯგუფებთან, ასევე ფაკულტეტის საბჭოსთან, სასწავლო კურსების წამყვან სხვა დეპარტამენტების პედაგოგებთან ერთად.

საზღვაო სატრანსპორტო ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის მიერ გაკეთებულმა სტუდენტების ერთი და იგივე ჯგუფის მიერ სხვადასხვა დისციპლინებში მიღებული შეფასებების შედარებითმა ანალიზმა აჩვენა, რომ რიგ შემთხვევებში ჯგუფს ერთ საგანში კარგი მოსწრება აქვს, მაშინ როცა ისეთ საგნებში, რომელშიც მათემატიკური ლოგიკაა საჭირო - დაბალი მოსწრება. რაც განპირობებულია ცალკეული კურსების სირთულით და შესაბმისად სტუდენტების მომზადების დონით.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიეებათა ფაკულტეტზე ხუს-ის მიერ გაკეთებულმა აკადემიური მოსწრების ანალიზმა 2017-2018 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრში აჩვენა დადებითი შედეგების შემცირება წინა სასწავლო წლის შესაბამის სემესტრთან შედარებით, თუმცა საგაზაფხული სემესტრში აკადემიური მოსწრების მაჩვენებელმა ისევ მოიმატა და არ განსხვავდება წინა სასწვლო წლის საგაზაფხულო სემესტრისგან.

სტუდენტთა მობილობისა და აკადემიური სტატუსის აღდგენის პროცესის წარმართვა

აგრარული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად იყო ჩართული სტუდენტთა მობილობისა და აღდგენის კომისიის მუშაობაში. სამსახურთან შეთანხმებით, დეკანის წარდგინებითა და რექტორის ბრძანებით სტუდენტთა მობილობისა და აღდგენის პროცესის ორგანიზების მიზნით შეიქმნა საფაკულტეტო კომისია დეკანის თავმჯდომარეობით. მობილობა და აღდგენები განხორციელდა 2017 წლის შემოდგომისა და 2018 წლის გაზაფხულის სემესტრებში ცენტრის დირექტორის მიერ დადგენილ ვადებში. მობილობით გადმოსულ სტუდენტთა განსახილველად წარმოდგენილი განცხადებების შესაბამისი დასკვნები განხილული, დამტკიცებული და წარდგენილი იქნა საუნივერსიტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მობილობის განყოფილებაში.

საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტის სამსახურის მონაწილეობით წარიმართა ზაფხულისა და ზამთრის მობილობის პროცესი. ჩატარდა მობილობის შედეგების ანალიზი. 2017 წლის ზაფხულის გარე მობილობით ფაკულტეტზე გადმოვიდა 6 სტუდენტი. აქედან: ტრანსპორტის მიმართულებაზე - 1, ელ.ინჟინერიის მიმართულებაზე -2, მშენებლობაზე - 2 და კვების ინდუსტრიის ინჟინერიაზე - 1. 2017 წლის ზაფხულის შიგა მობილობით ფაკულტეტზე გადმოვიდა 4 სტუდენტი. აქედან: მშენებლობის მიმართულებაზე - 2 და ელ. ინჟინერიის მიმართულებაზე 2 სტუდენტი.

2018 წლის ზამთრის მობილობით ფაკულტეტზე გადმოვიდა: გარე მობილობა - 6 სტუდენტი; შიგა მობილობა - 6 სტუდენტი. 2018 წლის ზაფხულის მობილობით ფაკულტეტზე გადმოვიდა: გარე მობილობა - 10 სტუდენტი; შიგა მობილობა - 5 სტუდენტი. შიგა მობილობა განხორციელდა სამაგისტრო პროგრამებზე, რაც გამოწვეული იყო რიგი პროგრამების შეჩერებით.

მობილობის პროცესში სამსახურის მიერ გაანგარიშებული იქნა მობილობის მსურველი სტუდენტის მიერ ათვისებული სასწავლო კურსების თავსებადობა მიმღები საგანმანათლებლო პროგრამის კურსებთან და ახალი პროგრამის ფარგლებში ასათვისებელი განსხვავებული კრედიტების რაოდენობა. კომისიას მიეწოდა რეკომენდაციები მობილობის მსურველი

სტუდენტის ჩარიცხვის შესაძლო სემესტრების შესახებ. კომისიის დასკვნის საფუძველზე სტუდენტებს მიეწოდათ ინფორმაცია და შედგენილი იქნა წერილობითი თანხმობის ფორმები თითოეული სტუდენტის მიერ.

სტუდენტთა მობილობისა და აღდგენის კომისიის მუშაობაში საზღვაო სატრანსპორტო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიც აქტიურადაა ჩართული. შიდა და გარე მობილობა განხორციელდა ცენტრის დირექტორის მიერ დადგენილ ვადებში. მობილობით გადმოსულ სტუდენტთა განსახილველად წარმოდგენილი განცხადებების შესაბამისი დასკვნები განხილული, დამტკიცებული და წარდგენილი იქნა საუნივერსიტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მობილობის განყოფილებაში. საგაზაფხულო გარე მობილობით საბაკალავრო პროგრამაზე ჩაირიცხა 12 სტუდენტი, შიგა მობილობით - 8 სტუდენტი. საშემოდგომო გარე მობილობით საბაკალავრო პროგრამაზე ჩაირიცხა 16 სტუდენტი, შიგა მობილობით - 9 სტუდენტი.

შიდა და გარე მობილობის პროცესს უხელმძღვანელა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტმაც. პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად იყო განხილული შემოსული განცხადებები, გამზადდა შესაბამისი დასკვნები და ბრძანებები, რაზეც ინფორმირებული იყვნენ სტუდენტები.

ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორო მუშაობის შეფასების პოლიტიკა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მისი ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციის - უნივერსიტეტში სწავლისა და სწავლების ხარისხის კონტროლის კრიტერიუმების და მათი გამოყენების მეთოდოლოგიის განსაზღვრის, სწავლა/სწავლების პროცესის თანამედროვე მეთოდებით წარმართვის მიზნით შეიმუშავა „ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა“, რათა უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალისათვის შეიქმნას გარემო, სადაც მიეცემათ შესაძლებლობა ერთმანეთს გაუზიარონ იდეები და გამოცდილება მიმდინარე სწავლა/სწავლების პროცესის თაობაზე. ამასთან, ურთიერთდასწრება და შეფასება საშუალებას აძლევს უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, საგანამანათლებლო პროგრამებისა და დეპარტამენტების ხელმძღვანელებს, ასევე სხვა დაინტერესებულ პირებს, სისტემატურად მიიღონ ინფორმაცია უნივერსიტეტში სწავლა/სწავლების არსებულ მდგომარეობაზე, მათ დადებით და უარყოფით მხარეებზე. და, რაც მთავარია, ყოველივე ეს ხელს უწყობს სწავლა/სწავლების პროცესის ამა თუ იმ მიმართულების ეფექტურობის, პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის საჭირო მოთხოვნების გაანალიზების საფუძველზე შემუშავებულ იქნას სასწავლო პროცესის სრულყოფისა და მისი გაუმჯობესების პრაქტიკული რეკომენდაციები.

ურთიერთდასწრების მიზნით აწსუ-ს ცხრავე ფაკულტეტის შესაბამის დეპარტამენტებში წინასწარ შედგენილი გრაფიკების მიხევით განხორციელდა აკადემიური პერსონალის ურთიერთდასწრება, რის საფუძველზეც შედგა ურთიერთდასწრების ოქმები. აღნიშნული პროცესი ითვალისწინებდა ლექტორის მიერ საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით სწავლებისა და შეფასების ადეკვატური მეთოდების შერჩევას, რამდენად შეუძლია მასწავლებელს სტუდენტების მოტივირება, მოცემული საგნით მათი დაინტერესება, სტუდენტებთან ეფექტური კომუნიკაცია, სტუდენტების სამართლიანი შეფასება და სხვა;

ურთიერთდასწრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ფაკულტეტებს ემსახურება მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული სპეციალისტები. პერსონალი ძირითადად მეცადინეობებს ატარებს არსებული მოთხოვნების შესაბამისად მაღალ დონეზე - სილაბუსის და განსახილველი თემის შესაბამისად, სტუდენტთა აქტიური ჩართულობით, იცავენ დროის

მენეჯმენტს, იყენებდნენ ელექტრონულ ტექნიკას, ამჟღავნებენ კურსის ღრმა ცოდნას, იყენებენ უახლეს ინფორმაციას და სხვა. თუმცა რიგ ფაკულტეტებზე გამოიკვეთა ლექციის ჩატარების ხელშემწყობი ტექნიკური საშუალებების დეფიციტი.

სამეცნიერო -კვლევითი საქმიანობა

2017-2018 სასწავლო წელს აგრარული ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ პროგრამული მიმართულებების მიხედვით განხორციელებული იქნა სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობა, რომელსაც მონიტორინგი გაუწია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა.

აგრარულ ფაკულტეტზე ფუნქციონირებს აგრარულ მიმართულებათა სამეცნიერო კვლევითი ცენტრი ციტრუსოვან მცენარეთა გენეტიკა-სელექციის მიმართულებით, რომლის მუშაობაში ჩართული არიან აგრონომიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი, მაგისტრანტები და დოქტორანტები.

აკადემიური პერსონალის მეთოდური შრომების მონიტორინგი

2017-2018 სასწავლო წელს ფაკულტეტებმა განახორციელეს აკადემიური პერსონალის მეთოდური შრომების მონიტორინგი. მაგ: საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხილული იქნა აკადემიური პერსონალის მიერ მომზადებული 15 ნაშრომი:

- თამაზ მორჩაძე, ნუნუ რუსაძე, არჩილ გეგუჩაძე. დამხმარე სახელმძღვანელო საგანში „სატრანსპორტო საშუალებების მოდელირება და საიმედოობის პროგნოზირების თანამედროვე მეთოდები“ დამხმარე სახელმძღვანელო შედგენილია „მშენებლობის და ტრანსპორტის“ მიმართულების დოქტორანტებისათვის შესაბამისი სასწავლო გეგმის საფუძველზე. ნაშრომის განხილვისას აღმოჩენილი იქნა რიგი ხარვეზები, რის გამოც დაუბრუნდა ავტორებს შესასწორებლად;
- თეიმურაზ გვალია. ზოგიერთი თანამედროვე სამედიცინო აპარატების მუშაობის პრინციპები. დამხმარე სახელმძღვანელო ბიოსამედიცინო ელექტრონიკის ბაკალავრებისათვის. ნაშრომში განხილულია თანამედროვე თერაპიული და დიაგნოსტიკური აპარატების სტრუქტურული სქემები და მუშაობის პრინციპები. სახელმძღვანელო განხილულია ენერგეტიკის და ტელეკომუნიკაციის დეპარტამენტში (04.10.2017 წ. ოქმი N2). იგი ერთობლივად არის რეცენზირებული აწსუ-ს ბიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორის - ემზარ გორდაძისა და აკად. ზ. ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ონკოლოგიის ცენტრის სამედიცინო აპარატურის და რადიაციული კონტროლის სამსახურის სპეციალისტის - ნიკოლოზ თოფურიას მიერ. ხარისხის სამსახურის მიერ წარდგენილი იქნა ფაკულტეტის საბჭოზე და მიეცა რეკომენდაცია დასაბეჭდად. (ფაკულტეტის საბჭოს ოქმი №2 01.11.2017)
- ნუნუ რუსაძე. მეთოდური მითითება საგანში „სატრანსპორტო გადაზიდვის საფუძვლები“. მეთოდური მითითება შედგენილია მშენებლობის და ტრანსპორტის დეპარტამენტში, რომელიც განკუთვნილია „სატრანსპორტო ლოჯისტიკური სისტემების ორგანიზაცია და მართვა“ მიმართულების სტუდენტებისათვის, შესაბამისი სასწავლო გეგმის საფუძველზე. მონიტორინგის დროს დაფიქსირებული იქნა რიგი ხარვეზები და დაუბრუნდა ავტორს მათ გამოსასწორებლად.
- ომარ ზივზივაძე, ლალი ზივზივაძე, შორენა ფხაკაძე, ნატალია გვეტაძე. ამოცანათა კრებული ელექტროტექნიკაში. დამხმარე სახემძღვანელოში გადმოცემული მასალა ეხება მუდმივი დენის, სინუსოიდალური დენის ერთფაზა და სამფაზა ელექტრულ წრედების საკითხებს. მოცემულია ელექტროტექნიკის ტიპიური ამოცანები და მათი ამოხსნის ხერხები. ამოცანათა კრებული განკუთვნილია საინჟინრო მიმართულების პროფესიული განათლების,

ბა¬კა¬ლავ¬რო და სა¬მა¬გის¬ტრო პროგრამების ტუდენტებისათვის. ნაშრომი არის 147 გვერდიანი, ექსპერტიზისას დაფიქსირებული იქნა რიგი ხარვეზები და დაუბრუნდა ავტორებს მათ გამოსასწორებლად.

- ომარ ზივზივაძე, შორენა ფხაკაძე, ლალი ზივზივაძე, ზაზა პაპიძე. დამხმარე სახელმძღვანელო ლაბორატორიული და ექსპერიმენტალური სამუშაოების ჩასატარებლად ელექტროენერგეტიკაში (ელექტრომომარაგება). სახელმძღვანელოში აღწერილია ექსპერიმენ-ტები და ლაბორატორიული სამუშაოები სასწავლო-პროგრამულ-მეთოდური კომპლექტისათ-ვის, რომელიც სრულდება ლაბორატორიული მოწყობილობის ,,ერთმანქანური ელექტრული სისტემის მოდელი კომპლექსური დატვირთვის კვანძით“ ბაზაზე. ლაბორატორიული კომ-პლექტთან მუშაობის პერიოდში შესაძლებელია როგორც ხელის ასევე ავტომატური მართვის რეჟიმში, ელექტრულ სისტემებში მიმდინარე ელექტრომაგნიტური და ელექტრომექანიკური პროცესების ანალიზი და მისი პარამეტრების განსაზღვრა. დამხმარე სახელმძღვანელო გან-კუთვნილია ელექტროტექნიკური პროფილის პროფესიული განათლების, ენერგეტიკისა და ელექტრული ინჟინერიის მიმართულების საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრა-მების სტუდენტებისათვის. ნაშრომი შესრულებულია სათანადო დონეზე. ავტორებს მიეცათ რეკომენდაცია მოამზადონ ყველა საჭირო დოკუმენტი ფაკულტეტის საბჭოზე წარსადგენად.

3. ტუტორების ინსტიტუტი

2015 წლიდან აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა ტუტორების ინსტიტუტი, რომლის მიზანია სტუდენტის აქტიური ჩაბმა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის სასწავლო, სამეცნიერო და შემოქმედებით მუშაობაში. ტუტორებს რეგულარულად ხვდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველოფის სამსახური და უზრუნველყოფენ საერთო სტრატეგიის შემუშავებას და განხორციელებას.

2017-2018 სასწავლო წლისათვის აწსუ-ს ცხრავე ფაკულტეტზე კონკურსის წესით შეირჩა ტუტორები. ისინი მთელი სასწავლო წლის მანძილზე მონაწილეობას ღებულობდნენ ფაკულტეტებზე განხორციელებულ ღონისძიებებში:

1. პირველკურსელ სტუდენტებთან სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
2. ფაკულტეტზე მობილობის წესით გადმოსულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში ინტეგრირება;
3. სტუდენტებისათვის კითხვარების შემუშავებასა და გამოკითხვაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად აქტიური მონაწილეობა;
4. უნივერსიტეტის ელექტრონულ ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურის შემოწმებაში;
5. სამეცნიერო პიკნიკის მუშაობაში მონაწილეობა;
6. ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა ბაზის შექმნა, რომელიც წარმოდგენილია კურსდამთავრებულთა ელექტრონული CV-ებით.

სტუდენტთა გამოკითხვები

სტუდენტების გამოკითხვის ძირითადი ამოცანაა სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა; სწავლა/სწავლების მეთოდების სილაბუსთან შესაბამისობის კვლევა; შეფასების სისტემის კვლევა და ლექტორ-მასწავლებლების შეფასება.

აგრარული ფაკულტეტის ხუს-ის მიერ შემუშავდა სტუდენტების ელექტრონული გამოკითხვის კითხვარები, სწავლების პროცესისა და აკადემიური პერსონალის შეფასების მიზნით. გამოკითხვები ჩატარდა პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე კურსელ სტუდენტებთან 2017-2018 სასწ. წლის საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრებში, სადაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ფაკულტეტის ტუტორებმა.



საინჟინრო-ტექნიკურ ფაკულტეტზე მათემატიკურ საგნებში მოსწრების ანალიზი წლების მიხედვით

კითხვარი ითვალისწინებდა სასწავლო პროცესის, აკადემიური პერსონალის, სწავლების მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობების, დეკანატის ფუნქციონირების, ხარისხის შეფასებას. გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ სტუდენტები სასწავლო პროცესის მიმდინარეობით ძირითადად კმაყოფილი არიან, თუმცა იყო რიგი შენიშვნები, კერძოდ, მათ გამოთქვეს მოსაზრება, რომ სასურველია: სასწავლო პროცესი დატვირთული იყოს პრაქტიკულად საველე პირობებში შესასრულებელი სამუშაოებით და ექსკურსიებით. სასწავლო კორპუსი უზრუნველყოფილი იყოს კვების ობიექტით, კეთილმოეწყოს აუდიტორიები, სპორტული დარბაზი და ეზოს ინფრასტრუქტურა. რაც შეეხება ლექტორ-მასწავლებლებს, მათ გამოთქვეს მოსაზრება, რომ აგრარულ ფაკულტეტს ემსახურება მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი.

აწსუ-ს საინჟინრო ტექნიკურმა ფაკულტეტმა ჩაატარა პირველკურსელ სტუდენტთა გამოკითხვა მათემატიკური კურსების სწავლების პროცესის შეფასების მიზნით. წლების მიხედვით ფაკულტეტის სტუდენტთა მოსწრების ანალიზი აჩვენებს, რომ მათემატიკურ საგნებში იმ სტუდენტთა მოსწრება (პირველი გასვლებით), რომელთაც სახელმწიფო მისაღებ გამოცდებზე მეოთხე საგანი ჩაბარებული აქვთ მათემატიკა, საშუალოდ 20%-ით მეტია სხვა მეოთხე საგნების

ჩაბარებულ სტუდენტთა მოსწრებაზე. ამასთან როგორც დიაგრამიდან ჩანს ბოლო წლებში შეიმჩნევა მოსწრების კლების ტენდენცია ორივე კატეგორიის სტუდენტებს შორის. მათემატიკური სასწავლო კურსების სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიკაციისა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიებისათვის ფაკულტეტზე გამოკითხვები ტარდებოდა სასწავლო პროცესის მიმდინარეობის პერიოდში, ფაკულტეტის პირველ და მეორე კურსის სტუდენტებთან. სასწავლო პროცესში უფრო აქტიურები არიან მეოთხე გამოცდად მათემატიკა ჩაბარებული სტუდენტები, ისინი შეადგენდნენ გამოკითხულთა 64%-ს.

სტუდენტების მიერ მათემატიკის შესწავლის სირთულეების შეფასებისას გამოიკვეთა, რომ მათი პროცენტული რაოდენობა, ვინც სირთულეებს არ აწყდება ემთხვევა დადებითი შეფასების მიმღებ სტუდენტთა პროცენტულ მაჩვენებელს. მთავარ სირთულედ ფიქსირდება პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტასთან დაკაშირებული სირთულეები. სტუდენტები ახალ თეორიულ მასალას ითვისებენ, აგროვებენ ინფორმაციას. მაგრამ საბაზო მათემატიკური ცოდნისა და პრაქტიკული უნარჩვევების არქონის გამო ვერ იყენებენ მიღებულ ინფორმაციას პრაქტიკაში. კვლევამ აჩვენა, რომ ძირითად პრობლემად იკვეთება მათემატიკაში დაბალი საბაზო ცოდნის დონე.

გამოკითხვის პროცესში სტუდენტებს უნდა ეპასუხათ კითხვაზე, თუ რაში ხედავდენ სწავლების დონის ამაღლების გზებს. გამოკითხულთა 40%-ის აზრით მთავარია ინფორმირებულობის ხარისხის გაზრდა. სტუდენტებს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია საინჟინრო სპეციალობებისათვის მათემატიკური ცოდნის მნიშვნელობის შესახებ. სასურველი იქნება კავშირების ჩვენება შესასწავლ თემებსა და დარგისათვის დამახასიათებელი ამოცანების გადაჭრის ხერხებს შორის. გამოკითხულ სტუდენთა 27%-ის აზრით საჭიროა საბაზო ცოდნაში არსებული ხარვეზების შევსება.



სტუდენტთა აქტივობასთან დაკავშირებით პრობლემების იდენტიფიკაციისა და გადაჭრის გზების ძიებისათვის ფაკულტეტზე ჩატარდა სტუდენტთა გამოკითხვები. ქვემოთ წარმოდგენილი არის აღნიშნული გამოკითხვების შედეგების განზოგადებული მონაცემები.

გამოკითხვისას დაფიქსირებული იქნა სტუდენტების აზრი იმის შესახებ თუ რატომ აცდენენ ლექციბს. სტუდენტების 28% ამბობს, რომ გაცდენის მიზეზი მათი სამუშაოა, ხოლო დიდი ნაწილისთვის მიზეზები სხვადასხვაა.





სტუდენტთა გამოკითხვა აწარმოა საზღვაო სატრანსპორტო ფაკულტეტმაც. კითხვარი ითვალისწინებდა პროგრამის შეფასებას, სასწავლო პროცესის, სწავლების მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობების, აკადემიური პერსონალის, დეკანატის ფუნქციონირების ხარისხის შეფასებას. გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ სტუდენტები სასწავლო პროცესის მიმდინარეობით კმაყოფილი არიან, ასევე სტუდენტები ზოგადად კმაყოფილები არიან სასწავლო კურსების თემატიკით და თვლიან, რომ სალექციო თემები შეესაბამება მათ პროფესიულ ინტერესებს. ასევე გამოკითხულთა ნახევარზე მეტი თვლის, რომ შეფასების კრიტერიუმები და კომპონენტები სწორად აფასებდა სტუდენენტს.

ფაკულტეტი დაინტერესდა თუ როგორ შეაფასებდენენ სტუდენტები უნივერსიტეტში შეფასების მეთოდების გამჭირვალობას, აკადემიური პესონალის კვალიფიკაციას, თვითგანვითარების და პროფესიული ზრდის შესაძლებლობას, პროფესორებთან და სტუდნეტებთან ურთიერთობას და აშ.

გამოკითხვებში სტუდენტებმა სურვილი გამოთქვეს კომპიუტერული კლასის განახლებაზე. ასევე ბიბლიოთეკაში სალექციო კურსების ბეჭდური სახით არსებობაზე, მიუხედავად იმისა, რომ ელექტრონული სალექციო კურსებით უზრუნველყოფილნი არიან,

შეკითხვაზე: რომელ პროგრამაზე ისურვებდით სწავლის გაგრძელებას, „საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტის“ თუ „მენეჯმენტის“, სტუდენტებმა უპირატესობა ზოგადი პროფილის საბაკალავრო პროგრამას მიანიჭეს, რათა შეზღუდული არ იყვნენ დასაქმების დროს არჩევანის გაკეთებით.

სტუდენტების პრობლემების დროული იდენტიფიცირების, სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის, საუნივერსიტეტო მმართველობის, სტუდენტური დასაქმების შესახებ სტუდენტთა აზრის შესწავლის მიზნით, ორჯერ (აპრილის ბოლოს და დეკემბერში) სტუდენტთა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) გამოკითხვა ჩაატარა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის სამსახურმაც. მომზადდა ორივე გამოკითხვის ანალიზი, რომლებიც დაეგზავნა ფაკულტეტის დეკანს და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

კურსდამთავრებულთა გამოკითხვები

კურსდამთავრებულთა გამოკითხვები ტარდება 6 თვეში ერთხელ და კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენს სატელეფონო ინტერვიუ (სტრუქტურირებული კითხვარით), სოციალური ქსელი, ტუტორების ვიზიტი სხვადასხვა ობიექტებში და კურსდამთავრებულთა მოწვევა (წინასწარ განსაზღვრული პრინციპით) დამამთავრებელი კურსის სტუდენტების საზეიმო გაცილებაზე.

2017 წლის ნოემბერში ჩატარდა კურსდამთავრებულთა გამოკითხვა მათი დასაქმების ანალიზის მიზნით მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად. ფაკულტეტის ხუს-ის სამსახურმა ტუტორებთან ერთად იმუშავა დასაქმების მონაცემთა შეჯამებაზე, სწორი სურათის მისაღებად.

კურსდამთავრებულთა ქსელი საშუალებას იძლევა დეპარტამენტებმა კონტაქტი იქონიოს კურსდამთავრებულებთან, რომელიც კოორდინირებას უწევს დასაქმებისა და თვითდასაქმების შესაძლებლობების გამოვლენასა და მოტივირებულია კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობისკენ.

სისტემატიური კონტაქტი აქვს კურსდამთავრებულებთან პედაგოგიური ფაკულტეტის ადმინისტრაციას. ფაკულტეტი სწავლობს მათი დასაქმების მდგომარეობას და აკეთებს შესაბამისი ანალიზს. კერძოდ: 2016-2017 სასწავლო წელს პედაგოგიური ფაკულტეტის დაწყებითი განათლების ბაკალავრის სპეციალობის IV კურსზე ირიცხებოდა 195 სტუდენტი, აქედან კვალიფიკაცია მიენიჭა 158-ს (81%). აქედან, დასაქმებულია 65, რაც შეადგენს საერთო

მაჩვენებლის-33,3%. კვალიფიკაცია მინიჭებული 158 სტუდენტიდან დასაქმებული 65 კურსდამთავრებული შეადგენს -41,1%. სამაგისტრო პროგრამა - განათლების მეცნიერებები და მართვის სპეციალობაზე - კვალიფიკაცია მიენიჭა 21 კურსდამთავრებულს, მათ შორის დასაქმებულია 16 კურსდამთავრებული, რაც შეადგენს საერთო მჩვენებლის 76,2%.

კურსდამთავრებულთა გამოკითხვები და დამამთავრებელი კურსის სტუდენტების მონაცმთა ბაზის შექმნა, ასევე, განხორციელდა საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის მიერ. 2016-2017 სასწავლო წლის კურსდამთავრებულთა 2017 წლის ნოემბრის თვეში ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით კვალიფიკაცია მინიჭებულ კურსდამთავრებულთა რაოდენობა შეადგენს 60-ს. გამოკითხვის პროცესში დაკავშირება მოხერხდა 43 რესპოდენტთან. ვერ მოხერხდა 17-თან. გამოკითხულ კურსდამთავრებულთაგან არ მუშაობს 16; მაგისტრატურაში სწავლას აგრძელებს 15. მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამის სამსახურშია 18.

საზღვაო სატრანსპორტო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შექმნილია კურსდამთავრებულების მონაცემთა ბაზა. ფაკულტეტის მიერ ორგანიზებულ ერთ-ერთ გამოკითხვაში კურსდამთავრებულთა რაოდენობამ, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს გამოკითხვაში, შეადგინა 43. მათგან 17 კურსდამთავრებული ანუ 40% დასაქმებულია მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისი სპეციალობით, 11 კურსდამთავრებული - მონათესავე სპეციალობით, თვითდასაქმებულია 9, მაგისტრატურაში გააგრძელა სწავლა ორმა , არ მუშაობს 4 კურსდამთავრებული.

პედაგოგიური ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის მონაცემების მიხედვით ზოგადი დასაქმების სფეროში მუშაობს გამოკითხულთა 43%, პროფესიის მიხედვით დასაქმებულია 23%, სწავლა მომდევნო საფეხურზე გაგრძელა 10%-მა.

კურსდამთავრებულთა დასაქმებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვების მიზნით, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტმაც განახორციელა 2017 წლის ნოემბერში 2016-2017 სასწავლო წლის კურსდამთავრებულთა გამოკითხვა. ჩატარდა გამოკითხვის ანალიზი. ანალიზის შედეგები დაეგზავნა ექვსივე დეპარტამენტს და შესაბამისი პროგრამების ხელმძღვანელებს, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

4. პროფესიული პროგრამების განვითარება

2017 წლის 17 ნოემბერს გაიმართა გაეროსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებ რივ კოლეჯში მებაღეობის პროფესიული პროგრამის საჯარო განხილვა, რომელსაც ესწრებოდა ტურიზმისა და ლანდშაფტური არქიტექტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ასოც. პროფ. ეთერ ბენიძე.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრისა და გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის "საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სისტემების გაფართოება და პროფესიული განათლების მოდერნიზაცია" -ფარგლებში აგრონომიის მიმართულებით ასოც. პროფ. მარიეტა თაბაგარის ხელმძღვანელობით და ასოც. პროფ. ვ. უგულავას და ასისტ. პროფ. შ. კაპნაძის მონაწილეობით შეიქმნა „მეჩაიეობის“ მოდულები და სასწავლო რესურსი. https://eqe.ge/geo/news/show/53/2137.

ამავე პროექტის ფარგლებში 2018 წლის 24-25 მაისს- კახეთში, კაჭრეთში, კოლეჯ "აისში"გაიმართა შეხვედრა, სადაც კოლეჯების და უნივერსიტეტების პედაგოგებისთვის მოხდა პროფესიული სწავლებისთვის შემუშავებული საგანმანათლებლო რესურსების პრეზენტაცია-განხილვა, რომელსაც ესწრებოდნენ აგრარული ფაკულტეტის წარმომადგენლები.

დამსაქმებლებთან თანამშრომლობა

კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და პოტენციურ დამსაქმებლებთან მჭიდრო კავშირის დამყარების მიზნით საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები და დეპარტამენტები პერიოდულად ატარებენ სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებს, მათ შორის პოტენციური დამსაქმებლების გამოკითხვას და პროგრამის საჯარო განხილვას. გამოკითხვის შედეგები განიხილება დეპარტამენტებში და აუცილებლობის შემთხვევაში აისახება პროგრამაში.

უნივერსიტეტის ეგიდით აგრარული ფაკულტეტი თანამშრომლობს ყველა იმ ორგანიზაციასთან, რომელიც ხელს უწყობს უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მისიის განხორციელებას, სთავაზობს მას რეგიონის განვითარებისთვის მნიშვნელოვან პროექტებს სოფლის მეურნეობის და ტურიზმის სფეროებში, მონაწილეობს საზოგადოებრივ დისკუსიებში. ფაკულტეტი თავის საგანმანათლებლო პროფილის ფარგლებში საზოგადოებას სთავაზობს საკონსულტაციო მომსახურებას და სანდოობის მაღალი ხარისხის კვლევის შედეგების დანერგვას.

2017 წლის 5 დეკემბერს ჩეხური პროექტის ფარგლებში მოეწყო შეხვედრა დამსაქმებლებთან, სადაც მონაწილეობა მიიღო აგრარული ფაკულტეტის სტუდენტებმა და წარმოდგენილი იყვნენ პოტენციური დამსაქმებლები: შპს „ნემო კაკუშაძე“ - სანერგე მეურნეობა, ქუთაისის ბოტანიკური ბაღი, ფონდი „აფხაზინტერკონტინენტალი“, ტურისტული სააგენტო „ვანდერლენდი“, შპს „ვერძი“, შპს „ადინა“, შპს „ტრაქტორსერვისი“, ბიზნესინკუბატორი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, გეგუთი. Flora Westland, სასტუმრო „Best Western”, ტურისტული ობიექტი „ბაიას ღვინო“, სსიპ-დაცული ტერიტორიების სააგენტო, სასტუმრო მონოპოლი, VIP კომპლექსი ბაგრატი1003, შპს „იმერეთი Good Travel”, შპს „ქუთაისის ტურიზმისა და ექსკურსიების ბიურო“, ქ. ქუთაისის ტურისტული ცენტრი, ტურისტული სააგენტო „All in Georgia”.

5. საჯაროობა და ინფორმაციის დისემინაცია

უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნვეყოფის სამსახურების მიერ ყოველწლიურად ხორციელდება საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები პირველკურსელებთან. ტუტორების აქტიური ჩართულობით სტუდენტებს მიეწოდათ ინფორმაცია უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ. კერძოდ, სტუდენტები ეცნობიან

- სასწავლო კურსების და კურიკულუმების სტრუქტურას. სასწავლო კურსების სწავლების ზოგად პრინციპებს, საგამოცდო პროცესის სტრუქტურას;
- მეცადინეობათა ცხრილის სტრუქტურას;
- ჯგუფების კურატორებს და სტუდენტ ტუტორებს;
- სტუდენტთა უფლება-მოვალეობებს და ეთიკის წესებს;
- საკრედიტო სისტემას, შეფასების სისტემას, კრედიტების აღდგენის წესს, აკადემიური დავალიანების აღმოფხვრის შესაძლებლობებს, მობილობის და სტიპენდიების დანიშვნის წესს.

აღნიშნულ შეხვედრებზე ხდება პირველკურსელთათვის დამზადებული ვიდეო-რგოლების ჩვენება.

აწსუ-ს ხარისხის უზურნველყოფის სამსახურმა ფაკულტეტების ხუს-ს სამსახურებთან ერთად ჩაატარა სამუშაო შეხვედრები სხვადასხვა ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალთან. მაგ: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე აკადემიურ პერსონალთან განხილული იყო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტები და შეფასების პრინციპი“.

ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები ორგანიზებას უწევდნენ ფაკულტეტების აკადემიური პერსონალის, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელების მონაწილეობას ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ შეხვედრებში, საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში, ტრენინგებში, რომლებიც ემსახურებოდა საგანმანათლებლო სფეროში არსებული სიახლეების გაცნობას.

ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ საბჭოსთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან, დეპარტამენტის ხელმძღვანელებთან თანამშრომლობით მომზადდა დოკუმენტი ფაკულტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი პროფილის შესახებ.

2018 წლის 5 ივნისს, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტზე უნივერსიტეტის ავტორიზაციის პროცესში შედგა I, II, III და IV კურსის სტუდენტების შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. სტუდენტური სერვისების ხელმძღვანელმა მირანდა კავაძემ სტუდენტებს გააცნო თუ რა სერვისებს სთავაზობს ზემოთ აღნიშნული სამსახური მათ. მაგ: ომბუცმენი, ფსიქოთერაპევტი და ა.შ. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტებმა სტუდენტებს გააცნეს უნივერსიტეტის მისია, სტრატეგიული განვითარების გეგმა, ეთიკის კოდექსი. ასევე, საერთაშორისო ურთიერთობების თვალსაზრისით რა შესაძლებლობებს სთავაზობს მათ უნივერსიტეტი.

2018 წლის 13 ივნისს პედაგოგიურ ფაკულტეტზე შედგა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და აკადემიური პერსონალის შეხვედრა. აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში კიდევ ერთხელ განიხილეს ახალი, მასწავლებლის მოსამზადებელი ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის - „დაწყებითი განათლება“ თვითშეფასება და სასწავლო კურიკულუმი. დეტალურად გაიარეს ყველა პუნქტი და წამოჭრილ კითხვებს ამომწურავი პასუხები გასცეს. თითოეული სასწავლო მოდულის ფარგლებში განიხილეს კომპეტენციათა ჩარჩო.

შეხვედრები ავტორიზაციის ვიზიტთან დაკავშირებით

6. ინტერნაციონალიზაცია

ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება უნვერსიტეტის განვითარების ერთ–ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული მიმართულებაა, რადგან ის წარმოადგენს მძლავრ იარაღს საერთაშორისო დონეზე ცნობადობისა და თვითრეალიზებისთვის.

აგრარული ფაკულტეტის დეპარტამენტში საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა მუშაობა ნორვეგიული საგრანტო პროექტის „მდგრადი ტურიზმი, მეწარმეობა სოფლად და მემკვიდრეობა“

ფარგლებში (2016-2019 წ.წ.), თანამშრომლობა საგანმანათლებლო სფეროში ყირგიზეთს, საქართველოსა და ნორვეგიას შორის, კერძოდ: პროექტის ფარგლებში სამმა პედაგოგმა წაიკითხა ლექციები ნორვეგიასა და ყირგიზეთში; საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის ორმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა ზაფხულის სკოლაში ნორვეგიაში, ყირგიზეთში და საქართველოში, სადაც დაეუფლნენ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას მდგრად ტურიზმში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტთა კვლევითი ჯგუფი იყო წარმატებული მონაწილე პარტნიორი შვიდი უნივერსიტეტის სტუდენტთა შორის. გრძელვადიანი მობილობით საბაკალავრო პროგრამის ერთმა სტუდენტმა საშემოდგომო სემესტრი ისწავლა ნორვეგიაში. ერთთვიანი მოკლევადიანი მობილობით მაგისტრანტმა ნორვეგიაში იმუშავა სამაგისტრო თემაზე; ყირგიზეთში ერთმა აიტი სპეციალისტმა (დეპარტამენტის სპეციალისტი) და ერთმა პროფესორმა მონაწილეობა მიიღო „ვორკშოპ“-ში ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებით.

2018 წლის 11-15 აპრილს თურქეთის ქალაქ იზმითში „თუიაფის“ საერთაშორისო საგამოფენო კონგრეს-ცენტრის ორგანიზებით მოეწყო აღმოსავლეთ მარმარილოს ზღვის რეგიონის სოფლის მეურნეობისა და სათბურების, ბაღებისა და დეკორაციული მცენარეების გამოფენა, სადაც მონაწილეობა მიიღეს აგრარული ფაკულტეტის სუბტროპიკული დეპარტამენტის აკადემიურმა პერსონალმა.

აწსუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით გაფორმდა მემორანდუმები და ხელშეკრულებები პარტნიორ უნივერსიტეტებთან. მაგალითად, ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ გაფორმდა მემორანდუმი ტარას შევჩენკოს ეროვნულ უნივერსიტეტთან (კიევი); ხელშეკრულება – გეტმანის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტთან (კიევი) ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის სტუდენტების მიერ გარკვეული კრედიტების ათვისების შესახებ; ხელშეკრულება – ჩეხეთის ტომას ბატას უნივერსიტეტთან ერთობლივი კვლევების განხორციელებისა და საჯარო ლექციების წაკითხვის მიზნით; პედაგოგიური ფაკულტეტის მიერ გაფორმდა მემორანდუმი ტალინის უნივერსიტეტის პედაგოგიურ ინსტიტუტთან, რაც ითვალისწინებს სტუდენტების ჩართვას გაცვლით პროგრამებში.

2018 წლის 8-9 ოქტომბერს საჯარო ლექცია წაიკითხა ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ გამოცხადებულ შიდა საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტის - „დაზღვევა და სამართალი“ - ფარგლებში მოწვეულმა ალექსანდრუ იოან კუზას უნივერსიტეტის (იასი, რუმინეთი) პროფესორმა - სორინა ჩიფერმა, თემაზე „სადაზღვევო ეთიკა - რუმინული გამოცდილება“.

7. საერთაშორისო კონფერენციები, სემინარები, ტრენინგები

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აქტიური ჩართულობით ხშირად ატარებს საერთაშორისო კონფერენციებს, სემინარებსა და ტრენინგებს. აღსანიშნავია თანამშრომლობა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და „ნოუ ჰაუ ტრენინგ ცენტრს“ შორის, რომელიც რამოდენიმე წარმატებულ პროექტს ითვლის. ერთ-ერთია 2017 წლის დეკემბერში ჩატარებული ტრენინგი თემაზე: „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში". ტრენინგს უძღვებოდა ამერიკელი პროფესორი როის ჯეფერსონ ჯორჯი. ტრენინგი დაფინანსდა საქართველოში აშშ-ის საელჩოს დემოკრატიის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში. ტრენინგი მოიცავდა კომპიუტერული პროგრამების/აპლიკაციების მეშვეობით რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებას, პრაქტიკულ რჩევებსა და რეკომენდაციებს. მონაწილეებმა თავად აწარმოეს სხვადასხვა სტატისტიკური ანალიზები Excel-ისა და SPSS-ის პროგრამების მეშვეობით. ტრენინგს 24 მონაწილე ესწრებოდა.

2017 წლის 9 დეკემბერს ეკონომიკის დეპარტამენტის ინიციტიავით ჩატარდა სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „საქართველოს ეკონომიკური პრობლემებისა და ქართული ეკონომიკური აზრის შემსწავლელი სტუდენტთა მუდმივმოქმედი სემინარის“ ფარგლებში. საქართველოს ოთხი და უკრაინის ერთი უნივერსიტეტის 71 სტუდენტის მიერ წარდგენილ იქნა 38 სტატია.

2018 წლის 18-19 მაისს ჩატარდა სტუდენტთა I საერთაშორისო-სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია „ბიზნესის განვითარების ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი პრობლემების რეგიონული ასპექტები“. მონაწილეობა მიიღო 5 ქვეყნის 109 სტუდენტმა, წარმოდგენილი იყო 88 სტატია.

2018 წლის 17 მაისს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში საზეიმოდ გაიხსნა სტუდენტთა XXVIII სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც ამავდროულად, აწსუ–ს 2010 წელს შემოერთებული აგრარული ფაკულტეტისთვის წარმოადგენდა მე–60–ე საიუბილეო კონფერენციას. აღნიშნულის გამო, აგრარულ ფაკულტეტზე სტუმრად იმყოფებოდნენ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე და აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი ზურაბ ლომთათიძე. სექციების მიხედვით გამოვლინდა საუკეთესო თემები, რომელთა ავტორები დაჯილდოვდნენ სიგელებით.

2018 წლის 1 ივნისს, ქ. თბილისში ჩატარდა სტუდენტთა რესპუბლიკური ოლიმპიადა „ნიადაგმცოდნეობაში“, რომელსაც ტრადიციულად ორგანიზებას უწევს საქართველოს აგრარული

უნივერსიტეტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის თენგიზ ურუშაძის ხელმძღვანელობით. აღნიშნულ ოლიმპიადაში საქართველოს სხვა უნივერსიტეტების სტუდენტებთან ერთად, მონაწილეობას იღებდნენ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის სტუდენტები. აწსუ-ს აგრარული ფაკულტეტის გუნდმა მოიპოვა წარმატება: 4 სტუდენტმა დაიკავა პირველი ადგილი, 3 სტუდენტმა - მეორე ადგილი და ერთმა - მესამე ადგილი. გამარჯვებული გუნდის წევრები არიან: ლაშა ბელთაძე, გიორგი კოპალიანი, ცეზარ კვეტენაძე, გურამ ზარნაძე, ლაშა არველაძე, ნათია ლურსმანაშვილი, გივი ორმოცაძე, შაკო მელაშვილი. სტუდენტთა ჯგუფის მეცნიერ-ხელმძღვანელია აგრონომიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი როზა ლორთქიფანიძე.

საზღვაო სატრანსპორტო ფაკულტეტის სტუდენტებმა 16 მოხსენება წარადგინეს 2017 წელს მაისში ჩატარებულ საუნივერსიტეტო სტუდენტთა XXVII სამეცნიერო კონფერენციაზე ფაკულტეტის შემდეგი პროფესორ მასწავლებელთა ხელმძღვანელობით: ა. ბრეგვაძე, ვ. გოგაძე, მ. ფხაკაძე, ლ. ხარბედია, ი. საღინაძე. საინტერესო თემების წარმომდგენი სტუდენტები დაჯილდოვდნენ სიგელებით.

გარდა ამისა, საზღვაო სატრანსპორტო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მონაწილეობდა საუნივერსიტეტო მასშტაბით დაგეგმილ სხვადასხვა ტრენინგებსა და სემინარებში.

პედაგოგიური ფაკულტეტის საქმიანობის ფარგლებში გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია სწავლებისა და აღზრდის აქტუალურ პრობლემებზე და ადგილობრივი მნიშვნელობის კონფერენცია მიძღვნილი გიორგი თავზიშვილის 115 წლისთავისადმი. ფაკულტეტის სტუდენტებთან ჩატარდა საჯარო ლექცია თემაზე „კონფლიქტის პრევენცია და მისი გადაჭრის ეფექტური სტრატეგიები". მომხსენებელი ფსიქოლოგ კონსულტანტი – გიორგი დონაძე. პედაგოგიკის დეპარტამენტთან არსებული კლუბის „პედაგოგიური საუბრები“ ინიციატივით, პედაგოგიური ფაკულტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებს შეხვედრა ჰქონდათ ფილოლოგ-კრიტიკოსთან ბ-ნ მერაბ გვაზავასთან. სტუდენტთა ინიციატივით 2017 წლის 27 დეკემბერს ფუნქციონირება დაიწყო კედლის გაზეთმა „ძახილი“. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ გამოიცა რამოდენიმე მეთოდური და დამხმარე სახელმძღვანელო. აკადემიური პერსონალის სამი წევრი არის რუსთაველის ფონდის გრანტის მონაწილე.

2018 წლის 19 ივნისს ქუთაისის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის კომისიის თავმჯდომარემ, ოთარ ლორთქიფანიძემ „ახალგაზრდული

საკონსულტაციო საბჭოსა“ და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ 2018 წელს დაგეგმილი ახალგაზრდული პროექტების პრეზენტაცია გამართა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის. პროექტის ინიციატორმა ოთარ ლორთქიფანიძემ სტუდენტებს პირადად აუხსნა თუ რა არის საკონსულტაციო საბჭო, რა ფუნქციები აქვს მას და რამდენად აუცილებელია ქალაქის განვითარებაში მომავალი თაობის ჩართულობა.

8. სხვა ღონისძიებები

ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქმიანობის ფარგლებში გაიმართა შემდეგი ღონისძიებები:

- ✓ 2017 წ. 21-29 სექტემბერი, ზუგდიდი - ,,საქართველოს პრეზიდენტის ფონდის და ზუგდიდის შოთა მესხიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი მხარდაჭერით, გაიმართა შემოდგომის სკოლა ზუგდიდში თემაზე - „დემოკრატია და ძირითადი უფლებები“. შემოდგომის სკოლაში მოწვეული იყო ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი იორგ ჰარდი. შემოდგომის სკოლის ხანგრძლივობა და ადგილმდებარეობა.
- ✓ 2018 წ. მაისი - განხორციელდა პროექტი - „სტიპენდია აბიტურიენტთათვის“- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრმის ფარგლებში მათემატიკური უნარების მქონე აბიტურიენტების მოზიდვის მიზნით. მონაწილეობა მიიღო 57- მა აბიტურიენტმა და გაიმარჯვა 2-მა, რომელთაც დაენიშნათ ყოველთვიური სტიბენდია 100 ლარის მოცულობით.
- ✓ აწსუ-ს სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები:
- ✓ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივით, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის ბაზაზე ჩამოყალიბდა „ბიზნეს საკონსულტაციო ცენტრი“, რომელიც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს გაუწევს კონსულტაციებს ბიზნესის დაწყებასა და მართვაში.
- ✓ ეკონომიკის დეპრატამენტის და ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების ინიციატივით (საახალწლოდ) ფულადი თანხით და სასურსათო პროდუქტებით დახმარება გაეწია წყალტუბოს რაიონ სოფელ მაღლაკის მაცხოვრებელ 8 შვილიან ნუცუბიძეების ოჯახს.
- ✓ სამართლის დეპარტამენტთან არსებული იურიდიული კლინიკა უფასოდ მოემსახურა 67 პირს.
- ✓ წლის 29 ივნისს- ჩატარდა კურსდამთავრებულთა გაცილების ღონისძიება;
- ✓ ივლისი-აგვისტო - განხორციელდა სტუდენტთა შემეცნებითი სამკვირიანი პოროექტი - “I em trader”;
- ✓ 2018 წ. 31 მაისი - უნივერსიტეტის და ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების პიარის მიზნით ხელოვნების კვირეულის ფარგლებში წალენჯიხის რაიონ სოფელ ლიის საჯარო სკოლის 21 მოსწავლეების ვიზიტი;
- ✓ 2018 წლის 14-21 აგვისტო - ზაფხულის სკოლა საირმეში „სამართლებრივი სახელმწიფო, როგორც ზნეობრივი სახელმწიფო, მონაწილეობდა სამართლის და სოციალური მეცნიერებების საგანამანათლებლო პროგრამების 10 სტუდენტი;
- ✓ ხარისხის სამსახურის ინიციატივითა და ორგანიზებით ისტორიის სპეციალობის სტუდენტებთან და ტუტორებთან ერთად განხორციელდა საქველმოქმედო აქცია (მატერიალური დახმარება მიიღო სოციალურად დაუცველმა ოჯახებმა); განხორციელდა კინოჩვენება, ისტორიული ფილმის განხილვა და ვიქტორინა.
- ✓ ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელობით ჩატარდა 2017 წლის ისტორიკოს კურსდამთავრებულთა გამოსაშვები საღამო.

აგრარული ფაკულტეტის საქმიანობის ფარგლებში გაიმართა შემდეგი ღონისძიებები:

- ✓ 2018 წლის 6 ივნისს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ ფაკულტეტზე, აგრონომიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ინიციატივით, ტრადიციულად აღინიშნა გარემოს დაცვის დღე. ფაკულტეტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები ამ დღის აღნიშვნას შეუერთდნენ აქციით და დაასუფთავეს ფაკულტეტის კორპუსის ეზო და მიმდებარე ტერიტორია.

- ✓ 2018 წლის 25 მაისს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის ლექტორ-მასწავლებლები: აგრარული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ასოც. პროფ. მარიეტა თაბაგარი, ასისტ. პროფ. შორენა კაპანაძე, დოქტორანტი ნატალია ჯინჭარაძე, ლაბორანტი ია ქანთარია და პროგრამა „აგრონომიის“ აგროტექნოლოგიის სპეციალობის სტუდენტები, აჭარის აგრარული სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულების და საკვლევ-საწარმოო ბაზების საქმიანობის გაცნობის მიზნით, ესტუმრნენ აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ „აგროსევრისცენტრი“ გვარა-ხუცუბნის ვაზისა და ხეხილის, ჩაქვის ციტრუსების საკოლექციო-სადემონსტრაციო ნაკვეთებს. დაათვალიერეს ღვინის სახლი, ვაზის სანერგე, კენკროვნების სასათბურე მეურნეობები, მიიღეს ინფორმაცია აჭარაში მეაბრეშუმეობის განვითარების მნიშვნელობაზე და გეგმებზე. სტუდენტებს და ლექტორ-მასწავლებლებს უმასპინძლეს ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის დირექტორის მოადგილემ ლევან ბოლქვაძემ, იოსებ აბულაძემ და აგრონომმა ლაშა მელაძემ, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის დირექტორმა სოფლის მეურნეობის აკადემიურმა დოქტორმა გურამ მემარნემ, სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორმა, მეცნიერ თანამშრომელმა ნანა ჯაბნიძემ.